ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით
№67 (1505) 12–16 დეკემბერი, 1996 წელი




## ჯუმბერ პატიაშვილი: ჩემს კითხვაზე „პასუხი“ იმ საღამოსვე მივიღე. ტყვიებით დამიცხრილეს ბინა

მეორე გვერდი

## მასწავლებელთა ატესტაციის ტესტები

მეხუთე გვერდი

## ციხიდან აღვლენილი სამი წყევლა თენგიზ კიტოვანისა

მესამე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

## ჯუმბერ პატიაშვილი:

## ჩემს კითხვაზე „პასუხი“ იმ საღამოსვე მივიღე. ტყვიებით დამიცხრილეს ბინა

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო“ №64,65,66

### ორი კითხვა ხაბეიშვილთან დაკავშირებით

1. – ამბობენ, რომ არ დაგეჭირათ ხაბეიშვილი, იმავე ღამეს დაგიჭერდნენ თქვენ და ცკ-ის I მდივანი ის გახდებოდა. გექყოფათ თუ არა გამბედაობა, გვიამბოთ ამ საქმის პერიპეტიების შესახებ?

2. – ხაბეიშვილის სასამართლო პროცესი აშკარად დადგმული ჩანდა. იყო თუ არა ეს შევარდნაძისათვის თქვენგან ხელთათმანის სროლა და თუ იყო ამჟამად ამ გაბედულ ნაბიჯს გორბაჩოვის ზურგით ხომ არ დგამდით?

– ჯერ კიდევ 1984 წლის თებერვალში საქართველოს იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ დაავალა რესპუბლიკის პროკურატურას, ჩაეტარებინათ შემოწმება და შემდეგ გამოძიება სიღნაღის რაიკომის მუშაკების მიმართ, მათი ურთიერთობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ პირებთან. შეკრებილი მასალებით უტყუარად გამოიკვეთა აწ განსვენებული ს.ხაბეიშვილის ქმედებანი და კანონსაწინააღმდეგო ქრთამის მიცემის ფაქტები.

1985 წლის ივლისში ჩემი ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩევის დროს, საქმის ძირითადი მტკიცებები უკვე შეკრებილი იყო. გარდა ამისა, ერთი წლით ადრე, ზაფხულში, ს.ხაბეიშვილი უშიშროების კომიტეტში შეხვდა კომიტეტის მაშინდელ თავ-რეს ა.ინაურს. ამ შეხვედრის ჩანაწერები არსებობდა. ცნობილია, რომ ა.ინაურმა ს.ხაბეიშვილს თანამდებობის დატოვება შესთავაზა, რაზედაც მან პასუხი მაშინვე არ გასცა, ხოლო მოგვიანებით უარი განაცხადა შემოთავაზებულ წინადადებაზე.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა პროკურატურის ინფორმაცია და მიზანშეუწონლად ჩათვალა ს.ხაბეიშვილის თანამდებობაზე დატოვება, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ სამართალდამცავმა ორგანოებმა იგი დააკავეს ქ.მოსკოვში.

ახლა ზოგიერთები თვლიან, რომ აქვთ უფლება ილაპარაკონ მართლმსაჯულების სახელით, თავად გამოაქვთ „განაჩენი“, რომ გაუსწორდნენ ამა თუ იმ პიროვნებას.

ს.ხაბეიშვილის სასამართლო პროცესი დადგმული ჩანდა მხოლოდ იმათთვის, ვისაც სურდა და სურს, რომ იგი დადგმული ყოფილიყო. ბოლო ხანებში, განსაკუთრებით კი გასული წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, ხშირად ცდილობდნენ წარმოეჩინათ პროცესი როგორც პოლიტიკური, იმისათვის, რომ ეს გარემოება ჩემს საწინააღმდეგოდ გამოეყენებინათ.

– კომუნისტური წყობის დროს შეიქმნა „მხედრიონი“, რომელიც იმთავითვე იარაღდებოდა. არადა, იმ დროში ჯაყვის ტარებისთვისაც კი ციხეში უკრავდნენ კაცს თავს. როგორ მოხდა „მხედრიონის“ შექმნა, რა ჩანაფიქრი გქონდათ. ხომ შეუძლებელია, სახელმწიფო სტრუქტურების ჩუმი ნებართვის გარეშე იმჟამად შეიარაღებული ფორმირება შექმნილიყო?

– თქვენს შეკითხვაზე ჩემი მონაწილეობის შესახებ „მხედრიონის“ შექმნაში გიპასუხებთ, რომ პარტიულ სამუშაოზე ჩემი მუშაობის დროს არავითარი შეიარაღებული ფორმირება არ არსებობდა და თავისთავად ცხადია, იგი ჩემს პერიოდში ვერ შეიქმნებოდა. რატომ და რა მიზნით დასჭირდა მაშინდელ ხელმძღვანელობას ამ არაფორმალური შეიარაღებული ფორმირების ჩამოყალიბება, ჩემთვის დღემდე გამოუცნობი რჩება.

– გვეთანხმებით თუ არა იმაში, რომ საბჭოთა სისტემაში პარტიული ბილეთიდან დაწყებული, დიდი თანამდებობებით დამთავრებული, ყველაფრის ყიდვა ხდებოდა ფულით, ანუ როგორც კანონიერი ქურდი იწყებს თავის ბიოგრაფიას, ვთქვათ, ჯიბის ქურდობით, ისე პარტიული მუშაკი იწყებდა აღმასვლას წილში ყოფნით ანუ მექრთამეობით. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ყოფილი დიდი პარტიული ხელმძღვანელები ყოფილი დიდი მექრთამეები არიან და რომ იმ სისტემიდან ამ სისტემას ისინი ყველაზე უკეთ მოერგნენ. რასაც აქ ვწერთ, საიდუმლო არ არის, მაგრამ საინტერესოა, როგორ დაახასიათებს ამ ასპექტში მექრთამეობას, როგორც ცხოვრების წესს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი. ამასთან ისიც გვსმენია, რომ მამათქვენი, როგორც პატიოსანი მუშაკი, ამ სისტემას ემსხვერპლა. იქნებ მის შესახებაც მოგვითხროთ და პირადად თქვენს აღმასვლაზეც კომკავშირის ცეკას პირველი მდივნობიდან რესპუბლიკის ხელმძღვანელობამდე?

– საბჭოთა სისტემა ბევრი მანკიერი თვისებით ხასიათდებოდა, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით იმ მოსაზრებაში, რომ პარტიული ბილეთით დაწყებული და დიდი თანამდებობით დამთავრებული, ფულით შეიძლებოდა ყველაფრის ყიდვა, და რომ პარტიული მუშაკი აღმასვლას წილში ყოფნით, ანუ მექრთამეობით იწყებდა.

ცნობილია, რომ მექრთამეობა კაცობრიობის სენია, მისი ფესვები ბიბლიურ ხანას უკავშირდება და საზოგადოების ყველა ფორმაციისათვის მეტნაკლებად დამახასიათებელი იყო. ამ მხრივ არც საბჭოთა სისტემა ყოფილა გამონაკლისი. მიუხედავად იმისა,რომ ჩვენი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მექრთამეობასთან ბრძოლა გარკვეული აქტიურობით მიმდინარეობდა, მას სასურველი შედეგი მაინც არ მოყოლია – საზოგადოებამ ვერ შესძლო სრულიად განთავისუფლებულიყო ამ დაავადებისაგან.

დიახ, იყვნენ მექრთამეები საბჭოთა სისტემაში, იყვნენ საქართველოშიც, მათ შორის დიდ ხელმძღვანელ თანამდებობებზეც. და თუ რომელიმე მათგანი დღევანდელ სისტემას უკეთ მოერგო, ეს იმის ნიშანია, რომ ამ სისტემაშიც არის ნიადაგი კორუფციისა და მექრთამეობისა, რომელიც მძლავრად, როგორც არასდროს, დამკვიდრდა ჩვენს საზოგადოებაში.

ამის ნათელი დადასტურებაა ის დანაშაულებრივი საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ჩვენთან ბოლო წლებში გატარდა: ასეულ მილიონობით დოლარი იქნა დატაცებული კრედიტების სახით, ქვეყნის ეკონომიკურ გაჯანსაღებას კი არაფერი მოხმარებია. სამაგიეროდ, უსაზღვროდ გამდიდრდა მცირე პროცენტი ადამიანებისა, ხოლო უმრავლესობა გაღარიბდა და გაღატაკდა.

ამის თაობაზე არა ერთხელ დავსვი საკითხი პარლამენტის სხდომებზე.





– თქვენ ერთხელ პარლამენტში კითხვა დასვით გაცემული კრედიტების შესახებ. ეს კითხვაც უპასუხოდ დარჩა.

– არა. ამ კითხვაზე „პასუხი“ იმ საღამოსვე მივიღე: ტყვიებით დაიცხრილა ჩემი ბინა; ხოლო პასუხი, რომელსაც ასე მოუთმენლად ელის საზოგადოება, დღემდე არ არის გაცემული.

მიუხედავად ყოველივე ზემოთაღნიშნულისა, მე მაინც ოპტიმისტურად ვუყურებ მომავალს, ხოლო რაც შეეხება ჩემს სულიერ და მატერიალურ ყოფას, იგი ისეთივეა, როგორც ჩვენი საზოგადოების უმრავლესობისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## «ზვიადისტის», «შევარდნაძისტისა» და «არავისტის» შეკითხვა ჯუმბერ პატიაშვილს

ტრადიციისამებრ, ჩვენი რუბრიკის სტუმარს დიალოგის დასასრულს ეძლევა სამი შეკითხვა. რედაქციაში შემოსული უამრავი წერილი, როგორც ადრინდელი რესპონდენტების, ისე ჯუმბერ პატიაშვილის მიმართ შინაარსობრივად სამ კატეგორიად იყოფა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით წინა რესპონდენტების გამოგზავნილი წერილებისა, მკითხველთა შეკითხვები ჯ.პატიაშვილის მიმართ ერთობ კორექტული და არააგრესიულია. ასეულობით შეკითხვის საერთო პათოსი შემდეგია:

*1) „ზვიადისტის" შეკითხვა:*

ბატონო ჯუმბერ, საჭიროდ და სავალდებულოდ მიგვაჩნია თქვენი აზრის გამოხატვა დეკემბერ-იანვრის მოვლენებთან დაკავშირებით. სასიამოვნოა, რომ თქვენ საჯაროდ არსად მოგიწოდებიათ ინტელიგენციისაგან იარაღის ხელში აღება, მაგრამ არც დაგიგმიათ ეს. გთხოვთ თქვენი აზრის გამოხატვას, ოღონდ, იმედია, ამ შემთხვევაში მაინც მხოლოდ ორი სიტყვით არ შემოიფარგლებით... სხვათა შორის, საინტერესო ისიცაა, თქვენ სად იყავით და რა განცდებით შეპყრობილი უყურებდით თბილისის ომს?

*2) „შევარდნაძისტის" შეკითხვა:*

თქვენ ბატონი ედუარდისათვის არაერთხელ გიწოდებიათ თქვენი მასწავლებელი. შეგახსენებთ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ სხდომას.

როგორ ფიქრობთ, განა კანონზომიერი არ იყო თქვენი დამარცხება საპრეზიდენტო არჩევნებში?

*3) „არავისტის" შეკითხვა:*

იყო დრო, როცა ამტკიცებდნენ – საქართველოს ჩაი და „ბორჯომიც" შეინახავსო. დადგა დრო, როცა ამტკიცებენ, საქართველოს ურუსეთოდ არსებობა არ ძალუძსო.

რა შეუძლია საქართველოს?

## გურამ ფანჯიკიძის გამოხმაურება ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვის სტენოგრაფიულ ჩანაწერზე

(„საქართველოს" რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს)

თქვენი გაზეთის რამდენიმე ნომერში ქვეყნდებოდა ვრცელი მასალა სათაურით „დოკუმენტური ისტორია ზ.გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვისა". იგი წარმოადგენს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის ანგარიშს (1977 წ. 1 აპრილი). 28-31 ოქტომბრის ნომრები კი გამოქვეყნდა ჩემი სიტყვებიც, რომელიც, თურმე, მე განმიცხადებია პრეზიდიუმის სხდომაზე. აი, ეს სიტყვებიც:

„მე ვარ ძალიან ცუდ დღეში და ძალიან მიჭირს დღეს გამოსვლა, ვინაიდან ორი წელია მე და ზვიადი ერთმანეთს არ ველაპარაკებით, რადგან გვქონდა ძალიან დიდი ჩხუბი. ახლა არ მინდა ამ გაჭირვებულ დროს ბრალმდებელი გამოვიდე, ვინაიდან არ დავემსგავსო ჩასაფრებულ მტერს.

მიუხედავად ამისა, მე ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს. ისე კი, არსებობს წესდება. მაგალითად, პარტიიდან რიცხავენ კაცს, თუ სამი თვის საწევრო არ გადაიხადა. ვინაიდან ზვიადი არ ემორჩილება მწერალთა კავშირის წესდებას, არ იზიარებს მის პროგრამას, თვითონვე უნდა გასულიყო ამ კავშირიდან.

რასაკვირველია, მე ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს, მაგრამ ძალიან ცუდ დღეში ვარ".

ბატონო რედაქტორო! ამ სიტყვებიდან მე მეკუთვნის მხოლოდ პირველი აბზაცი, თუმცა ისიც დამახინჯებულია. დანარჩენი არ ვიცი, საიდან გაჩნდა. ეტყობა, იმ დროში, როცა ამ სტენოგრაფიული ჩანაწერის „საბოლოო ვარიანტზე" მუშაობდნენ, ალბათ, უნდოდათ, „სუფთა" არავინ დარჩენილიყო და მეტ-ნაკლებად ყველანი ბრალმდებლები ვყოფილიყავით.

ახლავე დაგარწმუნებთ, რომ იმ აბზაცს გარდა მე არაფერი მითქვამს.

ე.ი. სტენოგრაფიული ჩანაწერის მიხედვით მე ვთქვი: „მე ვარ ძალიან ცუდ დღეში და ძალიან მიჭირს დღეს გამოსვლა, ვინაიდან ორი წელია მე და ზვიადი ერთმანეთს არ ველაპარაკებით, რადგან გვქონდა ძალიან დიდი ჩხუბი. ახლა არ მინდა ამ გაჭირვებულ დროს ბრალმდებელი გამოვიდე, ვინაიდან არ დავემსგავსო ჩასაფრებულ მტერს".

ეს ჩანაწერი კი, როგორც ზემოთ ვთქვი, არამარტო არ ჰგავს ჩემს ნათქვამს, არამედ აზრსაც დამახინჯებულად გადმოგვცემს.

ფაქტობრივად მე ვთქვი (რასაკვირველია, აღვადგენ ჩემი ნათქვამის დედააზრს): „მე და ზვიადი ორი წელია ერთმანეთს არ ველაპარაკებით. ამიტომ მე არ მაქვს მორალური უფლება, რაიმე ვთქვა მასზე, არ მინდა დავემსგავსო ჩასაფრებულ მტერს. არც ჩემს სიტყვებს ექნება რაიმე ფასი"

ეს რომ ნამდვილად ასეა, სულ იოლად შეიძლება ამის დამტკიცება. პირველი: თუ ჩემი სიტყვების შემდეგ დავძენდი, - „მიუხედავად ამისა მე ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს", - რაღა აზრი ჰქონდა ჩემს წინა გამონათქვამს? მაშინ ხომ მეც დავეთანხმებოდი პრეზიდიუმის აზრს!

მეორე: განა ჩემს შემდეგ გამოსული ასულაკაური იტყოდა: „მეც იგივე მინდა ვთქვა, რაც გურამმა..."

მესამე: მე ზვიად გამსახურდიას არასდროს მოვრიდებივარ. არც მაშინ, დისიდენტი რომ იყო, არც მაშინ, დისიდენტებმა რომ ზურგი შეაქციეს, არც მაშინ, ხელახლა რომ აღზევდა და არც მაშინ, პრეზიდენტი რომ გახდა. აბა გაიხსენეთ, რას წერდა ვინმე „მიმომხილველი" „ლიტერატურულ საქართველოში" (11.X.91) ჩემი სტატიის „დრონში" (20.IX.91). გამოქვეყნების შემდგომ: „გურამ ფანჯიკიძე კი, ჩასაფრებული თურმე „წვეთ-წვეთად" აგროვებდა საწინააღმდეგო მასალას და, როცა პრეზიდენტს გაუჭირდა, ზურგში მახვილივით ჩასცა თავისი წერილი".

სხვა საზიზღრობებზე აღარ ვილაპარაკებ, სწორედ „დრონში" გამოქვეყნებული წერილის გამო პრეზიდენტყოფილმა დასახვრეტების სიაში 24-ე ადგილიდან მე-14 ადგილზე „დამაწინაურა"!

და თუ დღეს მაინც მოგმართავთ წერილით, მხოლოდ იმიტომ, რომ აღვადგინოთ სწორი სურათი.

გურამ ფანჯიკიძე

## ციხიდან აღვლენილი სამი წყევლა თენგიზ კიტოვანისა

ამ წყევლა-კრულვებს რედაქცია, რა თქმა უნდა, არ უერთდება. მაგრამ ბატონი ედუარდის მიერ თავის დროზე ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოებული მთავარსარდლის წერილების არგამოქვეყნება, ჩვენის მხრიდან, დემოკრატიის დამკვიდრებისათვის ხელის შეშლა იქნებოდა. ამ დანაშაულზე კი ვერ წავალთ...

### ის თანამდებობის პირია და პირჯვარს გადაიწერს, ამ წერილში მაგის გვარს რომ არ ვახსენებ

ბატონებო, მივედით იმ წერტილამდე, რასაც ჩვენი ეროვნული გამანთავისუფლებელი ფრონტი წინასწარმეტყველებდა და ყოველნაირად ცდილობდა, რომ როგორმე აეცილებინა საქართველოსთვის ის უბედურება რაც შევარდნაძის გამყიდველურმა პოლიტიკამ მოიყვანა საქართველო და მისი მაცხოვრებელი დაღუპვის პირას. მე მინდა თავიდან დავიწყო აფხაზეთის საკითხის გარჩევა, თუ როგორ მოხდა ყოველივე ის რაც არ უნდა მომხდარიყო, 1992 წლის 10 აგვისტოს სამხედრო საბჭო შეიყარა შევარდნაძის კაბინეტში. გადაწყდა აფხაზეთში შესვლა რკინიგზებისა და ავტო მაგისტრალების დაცვის მიზნით. მე წინააღმდეგი ვიყავი ისე ჩქარა შესვლის რადგან მოსამზადებელი იყო თავდაცვის სამინისტრო და ამხელა ოპერაციას სჭირდებოდა მოსამზადებელი სამუშაოები. მე მოვითხოვე დაახლოებით 10 დღე, რათა დამეკომპლექტებია ტექნიკა და ხალხი, თუ ვინ როდის შევიდოდა აფხაზეთში. თვითონაც აფხაზეთში გაურკვეველი ვითარება იყო. იქაური მოსახლეობის დიდი ნაწილი ახალი მთავრობის წინააღმდეგ მართავდა მიტინგებს და ეგრეთ წოდებულ „პუჩისტების" წინააღმდეგ გამოდიოდნენ, რაც არძინბას სეპარატისტული რეჟიმის გამაგრებას უწყობდნენ ხელს, ეს რა საკვირველი იყო პოლიტიკური სიბეცე იყო, ვინც ამას აკეთებდა ისინი ვერ ხვდებოდნენ რომ თვითონ არძინბას სპეც.სამსახურები და რუსეთის აგენტურა მუშაობდა მაგრად. თვით ზვიადისტებს ეგონათ რომ თუ ისინი აფხაზეთში მოიკიდებდნენ ფეხს, ამით შევარდნაძეს დაამარცხებდნენ აღმოსავლეთ საქართველოში. ჩემი ღრმა რწმენით, მაშინდელმა აფხაზეთში არეულობამ დიდი განხეთქილება შეიტანა ეროვნულ მოძრაობაში და შევარდნაძის წისქვილზე დაასხა წყალი. ის რაც უნდოდა შევარდნაძეს იმაზე ჩვენ თვითონვე შეუწყვეთ ხელი ჩვენივე უთანხმოებით, ბევრ პოლიტიკოს მაშინ მოუნდა აფხაზეთზე სპეკულაცია, თავის გამოჩენა, ბევრმა ხელი მოითბო ამ ომით. შევარდნაძეს კი ერთი უნდოდა, როგორმე ჩაებარებინა აფხაზეთი ისე, რომ ეჭვი არავის შეპაროდა იმაში რომ მან აფხაზეთი ჩააბარა რუსეთს.

18 აგვისტოს ღამით მე ვეწვიე თენგიზ სიგუას და ვუთხარი, რომ ჩვენ აფხაზეთი წაგებული გვქონდა. თენგიზი პატიოსანი კაცია, იგი შევარდნაძის ხრიკებს მაშინ ვერ მიხვდებოდა. როგორო – მე მკითხა მან, მე ვუთხარი – ჯერ გამოგყრიან გაგრიდან,, ლესელიძიდან გუმისთაზე დავდგებით მეთქი. მერე თქვენ კარგად იცით ჩემი პარლამენტზე გამოსვლა, სადაც მე ღიად ვთქვი, რომ ჩვენ საერთოდ გამოგყრიდნენ აფხაზეთიდან და ინგირზე რუსეთი დააყენებდა სამშვიდობო ჯარს და ქართველებს არ შეუშვებდნენ. ჩემი პირადი დაზვერვა კარგად მუშაობდა მაშინდელი რუსეთის მაღალ ეშელონებში. მე თენგიზსაც გავაცანი ის ადამიანი, რომელსაც მოჰქონდა ცოცხალი ინფორმაციები. ის საბუთიც მან მომიტანა და მითხრა, რომ არ არის გამორიცხული, რომ ელცინმა და შევარდნაძემ მოილაპარაკონ აფხაზეთის კონფედერაციის შესახებ, ვინაიდან შევარდნაძემ რუსეთის მიწები გადასცა ამერიკელებს ზუსტად იმდენი რამდენიც აფხაზეთის ტერიტორია არისო. ამის შესახებ მე გაკვრით ველაპარაკე ზოგიერთ დღევანდელ პოლიტიკურ მოღვაწეებს. მათ ჩემი ლაპარაკი ზღაპრებად მიიჩნიეს და ალბათ ჩუმად იფიქრეს თენგიზი რუსებს შეეკრაო. ახლა არ მინდა მათი გვარები ჩამოვწერო, არ არის გამორიცხული რომ შევარდნაძემ ციხეში არ მოიყვანოს. ერთმა კი მითხრა, თენგიზ ეს იმხელა ბრალდებაა, რომ ამას დამტკიცება უნდა, სამშობლოს ღალატის ტოლფასიაო. ალბათ ამას რომ წაიკითხავს გაახსენდება ჯერ თავის თანამდებობა და მერე პირჯვარს გადაიწერს, რომ მაგის გვარს არ ვახსენებ.

დღეს თუ ვინმეს ოდნავ აქვს ანალიზის უნარი და თანმიმდევრობით გაანალიზებ 1992 წლიდან რა მოხდა საქართველოში და რა ხდება, ყველა მიხვდება იმას, რომ შევარდნაძე საქართველოს პრეზიდენტი არ არის. ის არის სხვა ქვეყნის რეზიდენტი საქართველოში და მისი დამქაშები არიან მისივე აგენტები, რომლებიც პასუხს აგებენ საქართველოს დაქუცმაცებაში და შევარდნაძის პოლიტიკის გატარებაში საქართველოს ტერიტორიაზე.

### ჩვენი ბედშავი პოლიტიკოსები შარვალგავსილები კნავიან

შევარდნაძის პოლიტიკა არის დამღუპველი პოლიტიკა საქართველოსთვის. შევარდნაძეს პრეზიდენტობა გონია ის, რომ იგი არის მშდ–ს მინისტრი, მაგის ავანტყოფურმა პოლიტიკამ მოგვიყვანა აქამდე. ტერიტორიები დაკარგული, ეკონომიკა არ არსებობს, დამშეული ხალხი, ციხეები გატენილი პატიმრებით. საშუალო პატიმრის წლოვანება 25 წელია, 95 პროცენტი ქართველობა დაპატიმრებულია.

სამ წელზე მეტია ატყუებს საქართველოს მოსახლეობას, რომ აფხაზეთში მშვიდობიანად შევა. შევარდნაძე საქართველოს მოევლინა როგორც მშვიდობის მტრედი. ჯერ ომი გააჩაღა აფხაზეთში, მერე ჩააბარა აფხაზეთი, ჩემი აზრია, რომ მან აფხაზეთი გაყიდა, მაგის არგუმენტირება შეიძლება მისი პოლიტიკის მიხედვით. ჯერ მე დამაპატიმრა, რომ აფხაზეთში არ შევსულიყავი, მერე ქართული ჯარი განაიარაღა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ქართველებს გენოციდი მოუწყო აფხაზეთის ტერიტორიაზე ეხლა ერთი მითხარით, რა არის მეტი გამყიდველობა? ჩვენ, ბედშავ პოლიტიკოსებს ხმის ამოღების უფლება არ აქვთ, აქა–იქ კნავიან პროტესტის ნიშნად შარვალ გავსილები და ისევ უნდათ სხვის ხარჯზე მოვიდნენ დიდ პოლიტიკაში. არ გამოვა ბატონებო, თქვენ რომ გონიათ ისე. შევარდნაძემ კარგად გაგოგოთ და ხმა იმიტომ ჩაგაწყვეტიათ და კნავილი დაგაწყებიათ, დათვის არ იყოს, კურდღელს რომ უთხრა, ბეწვი თუ ქცვივაო.. ესე გითხრათ შევარდნაძემ თქვენ, თქვენ თუ რაიმეს ელოდებით ძალიან შემცდარხართ, მოგიწევთ კიდევ დიდხანს კნავილი შევარდნაძის ხელში, ვითომ ოპოზიციონერებო, სინამდვილეში შევარდნაძის მონებო. ეს არ ეხება ჭავჭავაძის საზოგადოებას, რომელიც თავის პოლიტიკური მრწამსით დგას მყარად.

### შევარდნაძის ნათესავებმა უნდა დაიტრაბახონ, ედუარდი როგორ გამოგვადგაო

როგორც ჩემამდე მოვიდა ავიხმები, ბატონ ედუარდს უბრძანებია, რომ კიტოვანის სტატიები არ გამოქვეყნდეს, თორემ ზოგიერთი ჟურნალისტი შეიძლება ციხეში მოხვდესო. ისე, ჟურნალისტებმა ზოგიერთმა მთლიანად ვერ გააშუქა ჩვენი სასამართლო პროცესი, ბევრი რამე დამალეს, რაც სასამართლო პროცესზე ითქვა და თავიანთ ინტერპრეტაციას უკეთებდნენ, რის გამოც ბევრი რამე დამალული დარჩა საზოგადოებისთვის. დღეს კი იცის საზოგადოებამ, რომ ეროვნულ განმანთავისუფლებელი ფრონტი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია დაიცვას ერის ღირსება ყველა ასპექტში, არა ისე, როგორც ჩვენმა პარლამენტმა ჯერ ბაქიბუქი დაიწყო აფხაზეთის და სამაჩაბლოს საკითხზე. მერე დაეყრდნენ გაეროს გამონათქვამს, რომ ესენი ცნობენ საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობას, ესე იცნეს კიპრი რომ არის საბერძნეთს და თურქებმა მშვენივრად გაუყვეს შუაზე. ეს არავითარ პრაქტიკულ გადადგმულ ნაბიჯს არ წარმოადგენს ჩვენს პოლიტიკაში, ეს ნიშნავს ერის დაჩლუნგებას, მოტყუებას და მე მიკვირს აფხაზეთის დეპუტაციის, რომლებიც ზიან პარლამენტში ან მონაწილეობას ღებულობენ რაიმე მოლაპარაკებაზე, საიდანაც არავითარი სხივის ნაპერწკალიც არ ჩანს. მანამდე კი შევარდნაძის ჯგუფმა შეჭამა მთლიანად საქართველოს ეკონომიკა, გაანაწილეს ყველაფერი, შეისყიდეს ყველაფერი, აღარ დარჩათ ნათესავები და ახლობლები რომელთათვის რაიმე ჯებირი იყოს აღმართული მათ წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლიდათ, ყველა ციხეში მოხვდა სხვადასხვა მიზეზებით კანონებს ახლა წერენ, ციხეები კი ივსება იმ ხალხით, ვინც წინ აღუდგა შევარდნაძის ნათესაურ კლანს. გინდ ცოლის ნათესავები და გინდ თავის გვარის, დისშვილების ძმისშვილების და რა ვიცი, შევარდნაძის ნათესავებმა უნდა დაიტრაბახონ, ედუარდი როგორ გამოგვადგაო..

თენგიზ კიტოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ატესტაცია, რომელმაც შეძრა საქართველოს პედაგოგები

ატესტაცია მასწავლებელთა ერთი ნაწილისათვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნად იქცა. ერთნი მიუღებლად მიიჩნევენ ატესტაციის ჩატარებას და მოაქვთ სათანადო არგუმენტები, მეორენი, ძირითადად ატესტაციის ჩატარების ორგანიზატორები, წარმატებით ასაბუთებენ მის აუცილებლობას. ქვემოთწარმოდგენილ პუბლიკაციებში თქვენ ორივე მხარის პოზიციას გაეცნობით.

ჩემი მხრივ, მინდა საკუთარი თვალსაზრისიც გამოვხატო.

განათლების სისტემაში ატესტაციის ჩატარება რომ აუცილებელია, ამაში თვალნათლივ დაგარწმუნებთ ერთ-ერთი მასწავლებლის მიერ შევსებული ქვემოთწარმოდგენილი ტესტიც. ეს მასწავლებელი არათუ მისაღებ გამოცდებზე, არამედ კლასიდან კლასში გადასაყვან გამოცდაზეც კი, თავისი პასუხების მიხედვით, დამსახურებულ ორიანს მიიღებდა.

სამწუხაროდ, ასეთი დონის პედაგოგები გამონაკლისნი როდი არიან. მათგან სკოლა ნამდვილად უნდა განთავისუფლდეს და ატესტაცია ამისი ერთადერთი საშუალება ჩანს. ამდენად, ატესტაციის უარყოფა, ცოტა არ იყოს, ტრაგიკომიკურ სიტუაციაში აგდებს პედაგოგებს. მით უფრო იმ პედაგოგებს, რომელთაც არგუმენტად მოაქვთ ის ფაქტი, რომ შიათ, სცივათ და სწყურიათ. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ვფიქრობ, გრიგოლ ორბელიანის ლექსი რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწარმოებისაგან განასხვავო, ამისათვის კომფორტაბელური საკლასო ოთახი, ან დიდი ხელფასი სულაც არ არის საჭირო...

მაგრამ არის საკითხები, რომელნიც გ.მურღულიასთან მეგობრული დამოკიდებულების მიუხედავად, არ შემიძლია ირონიული ტონით არ გამოვყო.

1) ტესტების შემდგენელთ, დიდი და საჭირო შრომის მიუხედავად, შიგა და შიგ, განსაკუთრებული განსწავლულობის ჩვენების ჟინი ვერ მოუთოკავთ. ცალკეული კითხვები უფრო კროსვორდის ამოსახსნელად ან ლიტერატურული ვიქტორინის სათამაშოდ შედგენილი ჩანს... ტესტებში არის კითხვები, რომლის ცოდნა კარგია, მაგრამ რომლის არცოდნა სრულიადაც არ მეტყველებს ლიტერატურის მასწავლებლის განუსწავლელობაზე...

2) ტესტის შემდგენლები მასწავლებლებს პირდებიან, რომ წინასწარ გამოქვეყნდება კითხვებიც და მათი პასუხებიც. კითხვების წინასწარ გამოქვეყნება, კი ბატონო, მაგრამ თუ პასუხებსაც გამოაქვეყნებთ, რა გამოვა, „ზუბრიაჩკა" მასწავლებლების შეჯიბრი თუ „შპარგალკოსანი" პედაგოგების გამოცდა? ვფიქრობ, ამით მართლაც შეურაცხყოფთ პედაგოგებს.

3) კითხვარს თან ახლავს სარეკომენდაციო ლიტერატურის სია, რომლის შედგენისას „შესაშური" სუბიექტურობა, ანუ ნარცისიზმი გამოუჩენიათ მის შემდგენლებს ამ საკითხზე. მეტის თქმა არ ღირს...

იმედია, ატესტაციის ორგანიზატორები მოიწვევენ სოლიდურ შეკრებას, სადაც ამ საკითხებზე კონკრეტული საუბარი გაიმართება.

ნოდარ გრიგალაშვილი

## გრძელდება ტერორი გალის რაიონში

სააგენტო „იბერიას" კორესპონდენტს ზუგდიდის რაიონის გამგეობიდან აცნობეს, რომ 8 დეკემბერს უცნობი პირების მიერ განხორციელებული აქტის შემდეგ, რომლის შედეგადაც დაიღუპა აფხაზეთის შეიარაღებული ძალების სამი მაღალი რანგის ოფიცერი და დაიჭრა ორი, აფხაზმა სეპარატისტებმა ნამდვილი ტერორი გააჩაღეს გალის რაიონში. დღეისათვის აფხაზებს მძევლად აყვანილი ჰყავთ გალის რაიონის ქვედა და ზედა ზონის სოფლების 100-მდე უდანაშაულო ქართველი მცხოვრები. მათი ნაწილი გალის იზოლატორში იმყოფება. ნაწილი კი ოჩამჩირეში გადაიყვანეს. აფხაზურ მხარეს, ჯერჯერობით, ქართული მხარის მიმართ არავითარი მოთხოვნები არ წამოუყენებია. ტერორი კვლავაც გრძელდება. იგი მიზნად ისახავს ქართული მოსახლეობის დაშინებას და პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ მის განწყობას. რაც შეეხება კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ რუსეთის სამშვიდობო ძალებს, ისინი არავითარ ზომებს არ იღებენ ტერორის შესაჩერებლად და აცხადებენ, რომ ეს აფხაზეთის საშინაო საქმეა ქართული მოსახლეობა კი იძულებულია, თანდათანობით დატოვოს გალის რაიონი.

## აფხაზები სასტიკად გაუსწორდნენ არახამიების ოჯახს

10 დეკემბერს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განლაგებულმა რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა გააფრთხილეს გალის რაიონის სოფელ რეფის მოსახლეობა იმის თაობაზე, რომ მოსალოდნელი იყო მათზე შეიარაღებული აფხაზების თავდასხმა დაღუპული აფხაზების ნათესავთა მხრიდან შურისძიების მიზნით. სოფელ რეფის მოსახლეობამ მოასწრო გახიზვნა, თუმცა ერთმა, არახამიების ოჯახმა ვერ მოახერხა გახიზვნა. 10 დეკემბერს აფხაზების მიერ მოკლულ იქნა არახამიების ოჯახის უფროსი და მისი ორი ქალიშვილი.

იბერია

## პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს რუსეთს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც შეშფოთებაა გამოთქმული აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით რუსეთის პოზიციის გამო. განცხადებაში ნათქვამია, რომ მოლაპარაკებები აფხაზეთის სტატუსისა და აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნების საკითხებთან დაკავშირებით, ფაქტობრივად ჩიხშია შესული და ამის გამო მთელი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს შუამავალს ანუ რუსეთს, რომელიც არავითარ ზომებს არ ღებულობს სამშვიდობო პროცესის ჩიხიდან გამოყვანის მიზნით.

იბერია

## გიორგი ამაშუკელი:

### პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი

## ატესტაცია პედაგოგთათვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნაა

– ბ-ნო გიორგი, თქვენი და პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის აზრი საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის შესახებ.

– როდესაც ვსაუბრობთ განათლების სისტემაში რეფორმაზე, მთლიან კომპლექსში უნდა იქნას იგი განხილული და დაიწყოს ყოველივე იმით, რაც ყველაზე მეტად სჭირდება ამ ეტაპზე სკოლის და საერთოდ განათლების სფეროსა და სისტემას. ამ რეფორმით კმაყოფილი უნდა დარჩეს როგორც სახელმწიფო, საზოგადოება, ისე მასწავლებელი და მოსწავლე, მაგრამ ჩვენ ვეჭვობთ, რომ ეს ასე არ იქნება. ამ ეჭვს ბადებს ის შედეგები, რაც მივიღეთ რეფორმის პირველი ეტაპის ჩატარებით, კერძოდ კი ე.წ. საათობრივი დატვირთვის შემცირებით, რამაც გამოიწვია მთლიანად რესპუბლიკაში თორმეტ ათასამდე პედაგოგის დათხოვნა სკოლიდან და მოჰყვა კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის უზომოდ გაზრდა, რის გამოც თითო კლასში, უკეთეს შემთხვევაში, 30-35 და უარეს შემთხვევაში – 40-50 მოსწავლე აღმოჩნდა. ვისაც სკოლაში უმუშავია და ცოტაოდენი პრაქტიკა მაინც აქვს, მისთვის გასაგებია ის სიძნელეები, რაც მოსწავლეთა რაოდენობის ზრდასთანაა დაკავშირებული. მასწავლებელს უჭირს მოსწავლის შეფასება იმის გამო, რომ ბავშვს მეოთხედში ერთხელ უწევს გამახება გარდა ამისა, მასწავლებელს დღის განმავლობაში 5-6 გაკვეთილის ჩატარება უხდება ამას ემატება ის გაუსაძლისი პირობები, რაც ჩვენს სკოლებშია და პედაგოგი უდიდესი დილემის წინაშე დგება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველივე ეს უარყოფითად იმოქმედებს საბოლოო შედეგებზე მოსწავლეთა ცოდნის მიღებაზე. გარდა ამისა, ზემოთხსენებული პირობების გამო პედაგოგი ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას მოსწავლეთა მორალურ-ზნეობრივ აღზრდას და ბავშვები რჩებიან ქუჩის ანაბარა. ყოველივე ეს საქართველოსათვის დამღუპველი შედეგების მომტანია.

– რას იტყოდით პედაგოგთა ატესტაციის შესახებ. ჩვენთვის ცნობილია, რომ პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაცია წინააღმდეგია ატესტაციის ჩატარებისა.

– პედაგოგთა ატესტაცია, როგორც ამას ატესტაციის ჩამტარებლები აცხადებენ, დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ პედაგოგთათვის იგი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო. ბ-ნი გია მურღულია ბრძანებს, რომ ინფორმაციები ამ ატესტაციის შესახებ ორი-სამი წლის წინ გავრცელდა. თუ გადავხედავთ იმ პერიოდს და დავფიქრდებით, რა სიტუაცია იყო 1993-1995 წლებში, დავრწმუნდებით, რომ არათუ საატესტაციო მასალების გაცნობისა, არამედ ქუჩაში გამოსვლისა და მშვიდი ძილის საშუალებაც არ იყო. ამიტომ ვთვლით, რომ ეს პროცესი (ატესტაციის საკითხების განხილვისა) დღეს უნდა დაწყებულიყო. თუმცა, კიდევ რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი უნდა წამძღვარებოდა წინ ამ პროცესს: კანონი განათლების შესახებ, სტანდარტები, მეთოდიკის შემუშავება, პროგრამები და სახელმძღვანელოები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება და პედაგოგთა პირობების გაუმჯობესება. ყოველივე ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ატესტაციის პროცესი.

სკოლაში რომ მართლაც არის მასწავლებელთა ის კატეგორია, რომელიც მართლაც არ არის ღირსი იმისა, რომ პედაგოგის სახელს ატარებდეს – ეს უეჭველია და ჩვენც ვაღიარებთ ამ ფაქტს. მაგრამ მაინც ამ ეტაპზე ატესტაციის ჩატარება მიუღებლად მიგვაჩნია, რადგან ამ პირობებში ეს ნაჩქარევი, ძალდატანებითი ატესტაცია გამოიღებს უარყოფით შედეგებს; კერძოდ: არარეალურად იქნება შეფასებული პედაგოგი და კატეგორიებიც არასწორად იქნება მინიჭებული. მოვიტან ერთ მაგალითს: დებულების მიხედვით 7-15 კაცი უნდა იყოს იმ კომისიაში, რომელმაც უნდა შეამოწმოს პედაგოგის ვარგისობა და დაესწროს მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს. თუ კომისიის თხუთმეტივე წევრი დაესწრო გაკვეთილს, ეს გამოიწვევს 15 გაკვეთილის ჩაშლას და ე.ი. სასკოლო პროცესის მოშლას. თუ თხუთმეტივე არ დაესწრო (როგორც ამას ატესტაციის ჩამტარებლები გვთავაზობენ), მაშინ მათ, ვინც არ დაესწრებიან გაკვეთილს, როგორ უნდა მოაწერონ ხელი დადებითი ან უარყოფით შედეგს? ამას ხომ სიცრუისკენ მივყავართ!

ჩვენ ვთვლით, რომ ატესტაცია უნდა იყოს ნებაყოფლობითი და იგი უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში: რადგან რეფორმა 3-5 წელს მოიცავს, პედაგოგს უნდა მიეცეს საშუალება ამ პერიოდის განმავლობაში გაიაროს ატესტაცია მაშინ, როცა ეს მისთვის მისაღები და მოსახერხებელი იქნება.

ამ ატესტაციის გატარებით უამრავი პედაგოგი უკმაყოფილოა და ეს ნათლად დაგვანახა ამ ცოტა ხნის წინ ჩატარებულმა პედაგოგთა შეკრებამ, რომელიც პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის ეგიდით ჩატარდა. მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი შეურაცხყოფილად გრძნობს თავს და სკოლიდან მიდის. გარკვეული ნაწილი აცხადებს, რომ პროტესტის ნიშნად არ მიიღებს მონაწილეობას ატესტაციებში. მათი უმრავლესობა კი მაღალკვალიფიციური პროფესიონალია. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ამ განათლებულმა და თავისი საქმის მცოდნე ადამიანებმა დატოვონ სკოლა და ისინი კი, ვინც ღირსნი არ არიან სკოლაში ყოფნისა, გარკვეული მანქანებით სკოლაში დარჩნენ.

– პედაგოგთა ღირსების დაცვა მართლაც კეთილშობილური საქმეა, მაგრამ ამ კეთილშობილურ იდეას ხომ არ გამოიყენებენ მავანნი თავიანთი გაუნათლებლობისა და არაკომპეტენტურობის დასაფარავად?

– ჩვენი ასოციაციის მიმართ მრავლად იყო ასეთი ბრალდებები, რომ არაფერი ვთქვათ პოლიტიკურ ბრალდებებზე. ჩვენს რიგებში არ არიან ისინი, ვინც ანგარების მიზნით არიან მოსულნი, ისინი, ვისაც სათანადო ცოდნა და განათლება არ აქვთ.

ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ წინა წელს ჩატარებული ე.წ. პედაგოგთა შემცირება ჩვენი ასოციაციის მხოლოდ 2%-ს შეეხო. ჩვენ არ გვეშინია ატესტაციის. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ატესტაცია ჩატარდეს მაშინ, როდესაც პედაგოგს ექნება ამის პირობები და სურვილი.

ესაუბრა ანა ჯულელი

# გია მურღულია:

## მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორი

# ვინ ითხოვს, პატივი ვცეთ იმ მასწავლებელს, რომელმაც საკუთარ მოსწავლეზე ნაკლები ცოდნა გამოამჟღავნა?!

– თქვენი აზრი საქართველოში მიმდინარე განათლების სისტემის რეფორმის შესახებ.

– ჩვენ შეიძლება ვიდაოთ განათლების რეფორმის განხორციელების ამა თუ იმ ფორმაზე, მაგრამ ის, რომ რეფორმა გასატარებელია, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ის ვითარება, რაც ამჟამად გვაქვს განათლების სისტემაში, აუტანელია. მიმაჩნია, რომ ძალიან სერიოზული და, არ მიყვარს ეს სიტყვა, რადიკალური ზომებია გასატარებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ძალიან სერიოზულ შედეგამდე შეიძლება მივიდეთ. რა კონტექსტში, ახლავე მოგახსენებთ. უახლეს წლებში თუ ვერ შევძელით კონკურენტუნარიანი თაობის აღზრდა, ძალიან გაჭირდება ჩვენი ერი დადგეს სხვა ერთა შორის. რამოდენიმე ათეული წლის წინ ილია ჭავჭავაძემ დაწერა თავისი სიმარტივითა და სიბრძნით გასაოცარი წერილი „რა გითხრათ, რით გაგახაროთ". ამ წერილში ის ამბობს: ადრე მომხვდური იარაღით ხელში მოდიოდა და ქართველი კაცი ახერხებდა იმას, რომ იარაღივე დაეპირისპირებინა მისთვის. ის თავდაცვის ფორმა საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. ასე თუ ისე, ხერხდებოდა მოძალადის, მოწინააღმდეგის განეიტრალება. ილია გვაფრთხილებდა ჩვენ, რომ თუკი მოძალადეს ადექვატური რეაქცია არ მივეცით, შეიძლება ხმალი კი შეგვრჩეს ხელში, მაგრამ თავდაცვისუნარიანობა დავკარგოთ. ადრე ხმლიანი მტერი თუ მოდიოდა, ახლა მოდის ცოდნით შეიარაღებული კაცი და არ შეიძლება, რომ იდეას ხმლით ებრძოლო, იდეა უნდა დაამარცხო იდეით. განათლებული მოძალადე უნდა დაამარცხოს განათლებულმა დამხვდურმა. მე, რა თქმა უნდა, მოძალადისა და დამხვდურის კატეგორიებით არ ვაზროვნებ. ერთი რამ ფაქტია – ის ერები განაგრძობენ ნამდვილ, ჭეშმარიტ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, რომელნიც გადაწყვეტენ განათლების პრობლემას, ეს არის აქსიომა. ამდენად, სრულიად ნათელია, რომ თუ ჩვენ უახლოეს წლებში არ შევძელით კონკურენტუნარიანი თაობების აღზრდა, უკეთეს შემთხვევაში მომხმარებელთა საზოგადოება ვიქნებით, უარეს შემთხვევაში იქნება მომსახურეთა საზოგადოება. მაშინ, სრულიად ნათელია, რომ თავი უნდა დავანებოთ ისეთ მაღალ მატერიებზე ფიქრს, როგორიც არის თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ა.შ. არავინ წაგვართმევს ჩვენ თავისუფლებას, მაგრამ საშიში ისაა, რომ ჩვენვე არ წავართვათ ჩვენს თავს თავისუფლება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ალტერნატივა არ არსებობს, სხვა საკითხია ის, რა სახით, როგორ ჩატარდება რეფორმა.

– მიგაჩნიათ თუ არა მართებულად ის ფაქტი, რომ რეფორმა პედაგოგთა ატესტაციით იწყება და როგორ ფიქრობთ, ხომ არ დასრულდება იგი ამითვე?

– საკმაოდ ხშირად პედაგოგთა ატესტაციას და რეფორმასაც აკავშირებენ ორი-სამი კაცის სურვილთან. ივიწყებენ, რომ ატესტაცია ტარდება სახელმწიფო პროგრამის გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე 1995 წლის 1 სექტემბერს. შედგენილია ატესტაციის ხუთწლიანი პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებულია არა მარტო პედაგოგთა, არამედ საერთოდ განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთა ატესტაცია. ამასთანავე, პედაგოგთა ატესტაციის გადაწყვეტილება მიიღო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1996 წ. 15 აგვისტოს სხდომამ. პასუხისმგებლობას არავინ გაურბის, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა და მინდა აღვნიშნო, რომ იგი სასახელოა მათთვის, ვინც საქმეს უძღვება და ამ გადაწყვეტილებას ანხორციელებს. მაგრამ არასწორად მიმაჩნია, რომ ეს პროცესი ერთი ან ორი კაცის სახელს დაუკავშირდეს, რადგან ამ ჟამპანიას ატარებს სახელმწიფო.

მე ვთვლი, რომ იგი სწორედ და დროულად ტარდება. რატომ ვიწყებთ პედაგოგებიდან? განათლების რეფორმას რამდენიმე არსებითი მხარე აქვს. ერთი არის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ეს უნდა გადაწყვიტოს სახელმწიფომ, არადა ყველაფრის მოგვარებას ჭირდება კოლოსალური თანხები და ეს ერთ და ორ წელიწადში ვერ გადაწყდება. მაგრამ ჩვენ აქეთ უნდა წავიდეთ თანდათან. მეორე მხარე არის შინაარსობრივი მხარე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მესამე არის მმართველობითი სისტემის დახვეწა. ეს სხვა საუბრის თემაა, მაგრამ მაინც მინდა გითხრათ, რომ მომზადებული არის ახალი ტიპის სკოლის მენეჯერების მოსამზადებელი კურსების საკითხი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. აქ უნდა მომზადდეს ახალი ტიპის მმართველები ჩვენი სისტემისა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კადრების საკითხს, რომელიც უკავშირდება შინაარსობრივ განახლებას. რას ნიშნავს შინაარსობრივი განახლება? ეს არის რეფორმის ქვაკუთხედი. კერძოდ, საუბარია სასწავლო გეგმების, ლიტერატურის, პროგრამების სასწავლო მეთოდოლოგიის განახლებაზე. ვიმეორებ, რომ საკადრო პოლიტიკის განხორციელების დარგში, მასწავლებელთა პრობლემის გადაწყვეტის გარეშე არანაირ რეფორმაზე არ შეიძლება საუბარი. ამიტომ ვიწყებთ ჩვენ პედაგოგებიდან. პედაგოგი დგას საგანმანათლებლო ფრონტის წინა ხაზზე, გულისგულია პედაგოგი. ამიტომაც გამოიწვია სახელმწიფოში დიდი ინტერესები და დიდი ვნებათაღელვაც გადაწყვეტილებამ, რომ ატესტაციები სწორედ პედაგოგებიდან დავიწყოთ. განათლების რეფორმა არის დაკავშირებული ე.წ. „ხეჭეჭურის" სინდრომთან... აქ შედეგების სწრაფი მიღება არ ხდება. როგორც სხვა სფეროში. თუ ჩვენ ვფიქრობთ და გვსურს, რომ უახლოეს წლებში მივიღოთ პირველი, თუნდაც მცირე შედეგები, უპირველესად ყოვლისა, პედაგოგთა პროფესიული დონის ამაღლებაზე უნდა ვიმუშაოთ.

საბოლოო ანგარიშით ყველაფერი დანარჩენი, რაც რეფორმითაა გათვალისწინებული, ეს არის წინაპირობის შექმნა საიმისოდ, რომ მასწავლებელი მოსწავლესთან პირნათელი იყოს. გაისად დაგეგმილია სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა ატესტაცია. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა ატესტაცია, სკოლამდელი აღზრდის თანამშრომელთა, საწარმოო სწავლების ოსტატთა ატესტაცია, მოკლედ, ყველასი, ვინც ჩართულია განათლების სისტემაში.

– გასულ წელს დაიწყო პირველი ეტაპი რეფორმისა, რის შედეგადაც შეიზღუდა პედაგოგთა რაოდენობა სკოლაში, მაგრამ გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში. ამით შემცირდა სასწავლო პროცესის ნაყოფიერება. ატესტაცია ხომ არ გამოიწვევს იმ მძიმე პირობების კიდევ უფრო დამძიმებას, რომელშიც დღეს ჩვენს პედაგოგებს უხდებათ მუშაობა?

– ცხადია რომ, პირობები, რომელშიც ჩვენი მასწავლებლები მუშაობენ, იდეალურისგან ძალზე შორსაა. მე მასწავლებელი გახლავართ და ძალზე კარგად ვიცი, რა არის ეს. მასწავლებლის დატვირთვა მთელს მსოფლიოში სტანდარტულია. ამ დატვირთვის მხოლოდ 75% ჰქონდა ჩვენს მასწავლებელს. ამის რეგლამენტაცია მოხდა შარშან. როცა ერთ სამუშაო ადგილზე ოთხი, ხუთი კაცი მუშაობს, ბუნებრივია, სამუშაო წესიერად არ სრულდება, ძალიან დაქუცმაცებულია, არცერთი მათგანი კმაყოფილი არ არის, იმიტომ, რომ ერთი კაცის გასამრჯელოს ინაწილებს ხუთი კაცი. მე არ გამოვრიცხავ იმ შემთხვევებს, როდესაც შემცირებების გამო ნამდვილად ღირსეულ პედაგოგებს მოუხდათ სკოლიდან წასვლა. ფაქტი ერთია, დატვირთვა სტანდარტულია. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ის შესაძლებლობები, რომ მატერიალურ-ტექნიკური პირობები შეესატყვისებოდეს იმ სტანდარტულ დატვირთვას და მასწავლებელს არ უხდებოდეს მუშაობა გადატვირთულ კლასებში.

– პედაგოგთა გარკვეული ნაწილი უკმაყოფილოა ტესტებისა. ისინი თვლიან, რომ მათი შემდგენლები არ ითვალისწინებენ პედაგოგთა მუშაობის მძიმე პირობებს. თქვენი შეხედულება ამის შესახებ.

– ამ შეკითხვაში რამოდენიმე ასპექტია. პირველი: ტესტები ითხოვს იმის ცოდნას, რაც მასწავლებელმა უნდა იცოდეს. მე ვიტყოდი, დიდი უმრავლესობა ტესტებისა ეს არის წმინდა საპროგრამო მასალა და აქედან აღმოცენებული შეკითხვები. თუკი არის სადმე პროგრამიდან გადახვევა, ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პროგრამის გარეთ არსებულ მასალათა ცოდნა ხელს უწყობს საპროგრამო მასალის უფრო ღრმა გაგებას და ღრმა ცოდნას. ეს კეთდება იმის აუცილებლობით, რომ განსაკუთრებით მცოდნე მასწავლებლებს არ დაეკარგოთ შესაძლებლობა გამოამჟღავნონ ცოდნა.

ცოდნა არის განუზომელი ცნება და ზედა ზღვარი არ აქვს, მაგრამ ის, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს გადასცეს, ეს ყველაფერი გათვალისწინებული არის ამ ტესტებში. მე არ მიყვარს ზოგადი ლაპარაკი და ამიტომ კონკრეტულ საკითხებზე ვისაუბრებ. ჩვენთან ტარდება საკონსულტაციო კურსები. როდესაც მასწავლებლები მოდიან, ბუნებრივია,

გაგრძელება მე-6 გვ

## ასეთ პედაგოგს ატესტაცია ენდომება?

ექსპერიმენტის სახით მასწავლებლებს დაურიგდათ რამდენიმე ტესტი. გთავაზობთ ოროსანი პედაგოგის მიერ გაცემულ პასუხებს...

### ტესტი

1. ვის ეკუთვნის შემდეგი სტრიქონები:

„შენ მომითხრობდე,
მე ყრმა გისმენდე,
გამოუცდელი მოხუცებულსა,
თუ ვით ივერნი,
ლომგულნი გმირნი,
ჰბრძოდნენ, ჰსცხოვრობდნენ დროსა წარსულსა".

ა) ალექსანდრე ჭავჭავაძეს
ბ) გრიგოლ ორბელიანს
ვ) ნიკოლოზ ბარათაშვილს
დ) აკაკი წერეთელს
ე) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

2. რომელ წელს დაიბადა ალექსანდრე ყაზბეგი?

ა) 1837 წელს
ბ) 1840 წელს
გ) 1848 წელს
დ) 1964 წელს
ე) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

3. ქვემოჩამოთვლილ ნაწარმოებთაგან რომელი თარგმნა ექვთიმე ათონელმა ბერძნულ ენაზე ქართულიდან?

ა) „ფსალმუნნი"
ბ) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება"
ვ) „წმიდა ნინოს ცხოვრება"
დ) „სიბრძნე ბალაჰვარისი"
ე) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

5. რამ მისცა ჩვენში დასაბამი ე.წ. „მამათა და შვილთა ბრძოლას"?

ა) სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურულმა წერილებმა
ბ) გრიგოლ ორბელიანის ლექსმა „პასუხი შვილთა"
ვ) ილია ჭავჭავაძის „წერილმა" ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის თარგმანზედა"
დ) აკაკი წერეთლის ლექსმა „ხარაბუზა ღენერალს"
ე) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

## ტესტები პედაგოგთა ატესტაციისათვის

გთავაზობთ ტესტებს ქართული ლიტერატურიდან, რომელნიც, როგორც შემდგენლები წერენ, სამ ვარიანტად იყოფა, I ვარიანტი შედარებით მარტივია და მასში იწერება 1 ქულა. II ვარიანტის „ამოხსნაში" 2 ქულა, III ვარიანტში სწორი პასუხის გაცემა კი შესაბამისად „გაჯილდოვებთ" 3 ქულით.

დღეს გთავაზობთ I ვარიანტის კითხვებს. I ვარიანტში სულ წარმოდგენილია 48 ტესტი. ასევე II და III ვარიანტებში.

## ქართული ენა და ლიტერატურა

### I ვარიანტი

1. ვის ეკუთვნის შემდეგი სტრიქონები:

„მე საწუთრომ ბერწოვნება მომახვედრა თავში კომბლად,
ძე არ მომცა, არც ასული, შემქმნა სახლკარ დასამხობლად..."?

*1. ნიკოლოზ ბარათაშვილს*
*2. შოთა რუსთაველს*
*3. დავით გურამიშვილს*
*4. გიორგი ლეონიძეს*
*5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი*

2. სად გარდაიცვალა გრიგოლ ხანძთელი?

*1. ხანძთაში*
*2. ოპიზაში*
*3. შატბერდში*
*4. მერეში*
*5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი*

3. ვინ წარგზავნა გრიგოლ ხანძთელმა კონსტანტინოპოლში?

*1. ეფრემ მაწყვერელი*
*2. ზენონ სამცხელი*
*3. თვითონ წავიდა*
*4. ეპიფანე*
*5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი*

4. სად დასახლდნენ ახლადშეუღლებული ელგუჯა და მზალო თავდაპირველად?

*1. სვიმონ ჩოფიკაშვილთან*
*2. თუშეთში – ხარანაულთან*
*3. მთიულეთში – მათიასთან*
*4. ჩერქეზეთში*
*5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი*

5. ვინ არის ავტორი სტრიქონებისა:

„ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ფრანციას
და თქვა: „აბაო, ხელმწიფებამ რა შემიძინა?"
და რა იხილა თვის დიდების მსხვერპლი თვით წინა,
მისს მოღრუბლულს შუბლს შუქი რაღაც გარდაეფინა".

*1. ილია ჭავჭავაძე*
*2. ალექსანდრე ჭავჭავაძე*
*3. ნიკოლოზ ბარათაშვილი*
*4. გრიგოლ ორბელიანი*
*5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი*

6. რომელმა ტრაგიკულმა მოვლენამ დააწერინა აკაკის ეს სტრიქონები:

„ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას
და ნუ ამბოთ, რაც არ მჯერა!
ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა
საქართველოს ბედისწერა?"

*1. ქართველი ერის შეჩვენებამ ეგზარქოსის მიერ*
*2. 1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ*
*3. დიმიტრი ყიფიანის მკვლელობამ*
*4. ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ.*
*5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი*

7. ვინ არის ავტორი მოთხრობისა „მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი?"

*1. ილია ჭავჭავაძე*
*2. ნიკო ლორთქიფანიძე*
*3. რევაზ ინანიშვილი*
*4. გიორგი ლეონიძე*
*5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი*

8. ვინ არის ავტორი ნარკვევისა „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა"?

*1. კიტა აბაშიძე*
*2. პეტრე უმიკაშვილი*
*3. იოსებ გრიშაშვილი*
*4. გიორგი ლეონიძე*
*5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი*

9. სად და როდის ხდება მოქმედება „თავადის ქალ მაიაში"?

*1. ოდიშში, ახალწლის ღამეს*
*2. სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში, ადრიან გაზაფხულზე*
*3. შავი ზღვის პირას, მარიამობის წინა ღამეს*
*4. ნაწარმოებში არ ჩანს მოქმედების დრო და ადგილი*
*5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი*

10. ვინ არის ავტორი საგალობლისა „შენ ხარ ვენახი"?

*1. დავით აღმაშენებელი*
*2. დემეტრე პირველი*
*3. არსენ იყალთოელი*
*4. თამარ მეფე*
*5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი*

11. რა არის მაჯამა?

*1. სპარსული რომანი*
*2. ოგავ-არაკების კრებული*
*3. სახოტბო ხასიათის თხზულება*
*4. ომონიმური რითმა*
*5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი*

გაგრძელება იქნება



მეხუთე გვერდიდან

# გია მურღულია:

## ვინ ითხოვს, პატივი ვცეთ იმ მასწავლებელს, რომელმაც საკუთარ მოსწავლეზე ნაკლები ცოდნა გამოამჟღავნა?!

შიშის გრძნობაც აქვთ და ეს გასაგებიცაა, რადგან ამ დონის ატესტაცია ახლა ტარდება საქართველოში. ყველაფერს, რაც პირველია და თანაც რეფორმისტულია, თავისი წინააღმდეგობა ახლავს. ამას ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ და არც გასაკვირია როდესაც მიდიან მასწავლებლები, ისინი შეშფოთებულნიც არიან, მაგრამ ახსნის შემდეგ ყველაფერი ნათელი ხდება პედაგოგები რწმუნდებიან იმაში, რომ ტესტებში არაფერი უცნაური და არასაპროგრამო არაა. თუმც არის ხალხი, რომელთაც ვერასოდეს ვერაფერში დაარწმუნებ,

ჩვენ ჩავატარეთ ამ ტესტების არაერთი აპრობაცია და დავრწმუნდით, რომ ტესტები მუშაობს ძალიან კარგად. არის მცირე გამონაკლისებიც. ჩვენ ამას ვითვალისწინებთ და ან ვილებთ ამ ტესტს, ან მსგავსი სირთულის ტესტით ვცვლით. ხელთ გვაქვს ამ აპრობაციის შედეგები და ძალიან თვალსაჩინოდ ჩანს, ვის რა ცოდნა აქვს ძალიან ბევრს ეს არ მოსწონს. ჩვენ თუ სახელმწიფოს პოზიციიდან გამოვდივართ, სახელმწიფომ უნდა იცოდეს ვინ ვინ არის და დააფასოს ის, ვინც საუკეთესოა. ჩვენ ამისკენ მივდივართ, და გვამოძრავებს ერთი მიზანი – პროფესიონალიზმი დამკვიდრდეს ჩვენს სისტემაში. გამოიცა ტესტების ნიმუშები, გამოიცა პასუხები ამ კითხვებზე. ეს არის საჯარო აპრობაცია ამ ტესტებისა. ასობით და ათასობით დაიბეჭდა ეს ტესტები. მიუვა ასობით და ათასობით მასწავლებელს. ჩვენც ყველას ვთხოვეთ და ახლაც ვთხოვთ, რომ თუ პედაგოგებს ექნებათ რაიმე არსებითი, დოკუმენტირებული შენიშვნა, ჩვენ უსათუოდ გავითვალისწინებთ მათ.

– გაითვალისწინებთ როდისთვის?

– მოგეხსენებათ, რომ უნდა გამოქვეყნდეს ყველა ტესტი. მე არაერთხელ განმიცხადებია და ახლაც ვაცხადებ, რომ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ტესტების გამოქვეყნებისა. მაგრამ გათვალისწინებულია ის, რომ ჩვენს მასწავლებლებს არ აქვთ სოციალური დაცვა ისე, როგორც წესი და რიგია. რომ მათ წლების მანძილზე არ მიუღიათ სათანადო დამხმარე ლიტერატურა და ა.შ. მოკლედ. გათვალისწინებულია არსებული რეალობა და განათლების სამინისტროს კოლეგიამ შესაძლებლად ჩათვალა ამ ტესტების გამოქვეყნება. უფრო მეტიც, ქვეყნდება ყველა ტესტის პასუხები. ახლა მე ვკითხულობ: არსებობს მასწავლებლის უფლება. უნდა გითხრათ, რომ თაყვანისმცემელი ვარ მასწავლებლის. პირდაპირ მინდა განვაცხადო, სრულიად არაორაზროვნად. ვერავინ ვერ მასწავლის ვერც მე და ვერც ჩემს კოლეგებს, როგორ უნდა მასწავლებლის პატივისცემა, იმიტომ რომ ზღვრულ დონემდეა ჩემში ამის შეგრძნება. მე სრულიად ნათლად მესმის კონფუცის ცნობილი გამონათქვამი: „ის, ვინც წარსულის ჭვრეტისას იხილავს მომავალს, ღირსია იწოდებოდეს მასწავლებლად". ჩემის აზრით, ამიტომ მას უნდა ჰქონდეს მაქსიმალური პატივისცემა საზოგადოებისაგან, თაყვანისცემაც კი ოღონდ მასწავლებელს და არა იმას, ვინც ღირსი არ არის იწოდებოდეს მასწავლებლად. ამასწინათ ერთ-ერთ შეხვედრაზე ატესტაციასთან დაკავშირებით საწინააღმდეგო აზრები გამოთქვეს და ერთმა სკოლის დირექტორმა ასეთი რამ თქვა: „ბატონებო თქვენ დაგავიწყდათ, რომ ბავშვიც არსებობსო". არსებობს ბავშვის უფლება, საქართველოს მომავლის უფლება, რომ მას კარგი მასწავლებელი ჰყავდეს. რატომ ვივიწყებთ ამას? ძალიან ხშირად საქმე იქით მიჰყავთ, რომ მასწავლებლის უფლებას ძალიან ხშირად უპირისპირებენ მოსწავლის უფლებას და საერთოდ საზოგადოების ინტერესებს, თითქოს ეს დაპირისპირების საგანი იყოს. ჩემის აზრით, ეს დაპირისპირების კი არა, ჰარმონიის შესაძლებლობაა, ეს შესაძლებლობა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს. მასწავლებლის უფლება და ბავშვის უფლება, რომ მას კარგი მასწავლებელი ჰყავდეს, ერთმანეთს უნდა შეერწყას და ერთ ჰარმონიულ მთლიანობად უნდა წარმოჩინდეს. მხოლოდ ასე უნდა იყოს. ჩვენ ვერ დავაყენებთ მასწავლებლის უფლებას ბავშვის უფლების მაღლა. ეს უნდა გაცხადდეს სრულიად არაორაზროვნად. როდესაც ჩვენ აპრობაციას ვატარებდით, ტესტები მივეცით როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს. საინტერესო შედეგები მივიღეთ. მოსწავლეების საუკეთესო ნაწილმა საკმაოდ წარმატებით დასძლია ეს ტესტები. მე ვეკითხებით: ვინ ითხოვს იმას, რომ პატივი ვცეთ იმ მასწავლებელს, რომელმაც საკუთარ მოწაფეზე ბევრად უფრო მცირე ცოდნა გამოამჟღავნა?

ძალიან ხშირად ზოგიერთნი ითვისებენ იმის უფლებას, რომ დაიცვან მასწავლებლის ღირსება. თითქოს შეიძლებოდეს, რომ ვინმემ მონოპოლია გამოაცხადოს ამაზე. მე მხედველობაში მაქვს პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაცია. ხანდახან ზოგიერთი სხვა პერსონაც, რომელიც საზოგადოების წინაშე გამოდის მოსხმული მანტიით, რომ ის თითქოს ერთადერთი იცავს პედაგოგის ღირსებას და მის უფლებას და ა.შ. უნდა გითხრათ, რომ არსებობს მსოფლიოში ანტიმონოპოლიური კანონი და, ალბათ, ეს აქაც უნდა იყოს გათვალისწინებული. ძალიან უპერსპექტივოა იმის მცდელობა, რომ განათლების სამინისტრო, კონკრეტული პიროვნება, რომლებსაც საკმაოდ დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ სისტემის წინაშე (ჩემი თხოვნაა, ამომრიცხოთ ამ სიიდან) და ისინი წარმოჩნდნენ მასწავლებლის და განათლების სისტემის მტრად. ის ადამიანები, რომელნიც ხმალამოღებულნი იბრძვიან ამ ატესტაციის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ აცხადებენ, არა ვართ ამის წინააღმდეგიო, მაგრამ რა შენიშვნებსაც ისინი იძლევიან, ეს ფაქტობრივად წინააღმდეგობაა. აი, ეს ადამიანები გამოცხადნენ მასწავლებელთა დამცველებად და მეგობრებად... არადა, ატესტაციის შედეგად, ჯერ ერთი, გადაწყდება უამრავი სოციალური პრობლემა. მე ყოველთვის ხაზს ვუსვამ იმას, რასაც ეს ადამიანები ატესტაციის მინუსად თვლიან (სოციალური პრობლემები). სწორედ ამ მინუსის გადამწყვეტია ატესტაცია იმიტომ, რომ არსებობს იმედის მომცემი პასუხები, რომ ატესტაციის ჩატარების შემდეგ პედაგოგები მიიღებენ თვისობრივად განსხვავებულ ხელფასებს კატეგორიების მიხედვით. ჩვენ გვინდა, რომ განათლებულობა და მატერიალური წარმატებულება ერთმანეთს დაუკავშირდეს ბოლოსდაბოლოს. უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი მიიღებს ორნახევარჯერ მეტ ხელფასს, ვიდრე მესამე კატეგორიის მასწავლებელი. უნდა შემოვიდეს საკონტრაქტო სისტემა. სრულიად ახლებურად უნდა იქნეს მოაზრებული კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემა. კადრების შერჩევისა, დაწინაურებისა და დანიშვნის სისტემა უნდა ეყრდნობოდეს სრულიად ობიექტურ მონაცემებს.

ახლაც არსებობს კატეგორიები, მაგრამ ისინი არაობიექტურად არის მინიჭებული. ოთხი ატესტაციაა ჩატარებული საქართველოში და აბსოლუტურად უარყოფითი შედეგით, არანაირი პოზიტიური შედეგი ამას არ მოჰყოლია. ერთი სტრატეგიული მიზანი ჰქონდა წინა ატესტაციებს, რომ შეეფასებინა, პედაგოგი, შეეფერება თუ არა დაკავებულ თანამდებობას. ესეც ვერ გადაწყვიტეს ამ ატესტაციებმა, რადგან 15–16 წლის მანძილზე თექვსმეტიოდე მასწავლებელს მიეცა, რბილად რომ ვთქვათ, შენიშვნა, რომ იგი არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას და რამდენადაც ვიცი, თექვსმეტივე აღდგენილ იქნა თანამდებობაზე სასამართლოს წესით. ზოგიერთები ამბობენ, თუ ეს ატესტაცია ობიექტურად ჩატარდა, პედაგოგთა 50% გარეთ დარჩება. ეს არიან ის ადამიანები, რომელნიც პედაგოგების ღირსებას იცავენ და არიან მოწოდებულნი, რომ პედაგოგებს როგორმე მწვანე გზა აუნთონ. ამით კი ისინი ფაქტობრივად აღიარებენ, რომ 50% ჩვენი პედაგოგებისა არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას.

გაგრძელება იქნება

# საქველმოქმედო აქცია ახალგორში

დღევანდელ პირობებში სკოლა რომ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, ამის შესახებ არაერთხელ თქმულა. უჭირთ ყველგან – ქალაქად თუ სოფლად, მაგრამ მაღალმთიან რეგიონში მოღვაწე მასწავლებელთა პრობლემები მაინც განსაკუთრებულია. სწორედ ამიტომაც თითოეული საქველმოქმედო აქცია სკოლის პედაგოგთა დასახმარებლად მიმართული ნამდვილ დღესასწაულად იქცევა ხოლმე. ასე იყო ამჯერადაც, როდესაც ახალგორის რაიონის სოფელ იკოთის საშუალო სკოლას ეწვივნენ „ლამბადა-ყავას" წარმომადგენლები. სკოლის მასწავლებლები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ მათდამი გამოჩენილი ყურადღების გამო. სასურსათო პროდუქტებით დატვირთულ მანქანას ლამაზ საჩუქრებთან ერთად იმის იმედიც მოჰყვა, რომ სკოლა და მასწავლებელი კვლავ საზოგადოების ყურადღების ცენტრშია.

„ლამბადა-ყავას" ინიციატივით ნამდვილი დღესასწაული მოუწყვეს პატარებსაც. ბავშვებისათვის „ზღაპრის თეატრის" მსახიობთა წარმოდგენას სურნელოვანი ყავა, ლამბადას ემბლემიანი სპორტული მაისურები და გემრიელი წვენებიც თან ახლდა.

როგორც ჩვენთან საუბარში საქველმოქმედო აქციის ინიციატორმა „ლამბადა-ყავას" საქარხნო წარმოების დირექტორმა, ლიბანის რესპუბლიკის მოქალაქემ ბატონმა შარლ ელ ჰაიკმა აღნიშნა: – ლამბადა ყავა ეს არის ამერიკული ინვესტიცია, ბულგარული ლიცენზიით, ჩემი აზრით, დღევანდელ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა მომავალშიც ბევრ სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს. ითქვა იმის შესახებაც, რომ მათი მიზანია უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

გვინდა აქციის ინიციატორთან ბატონ შარლ ელ ჰაიკთან ერთად მასწავლებელთა მადლობა გადავცეთ კორპორაცია „ჯი-ეიჩ-ეფ-ის" პრეზიდენტს ბატონ დავით საგანელიძეს და ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ კეთილშობილურ აქციაში.

# კლანების ბრძოლა კრემლში

ერთი მუჭა ბანკირები და თვეების მანძილზე უხელფასოდ დარჩენილი მილიონობით ადამიანი, – აი ის რუსეთი, რომელსაც დღეს, პირველად ბოლო ხუთი წლის მანძილზე, ხელთ არა აქვს არავითარი საშუალება და მიზეზი, რათა თავი აარიდოს საკუთარ მწვავე პრობლემებზე ფიქრსა და განსჯას.

1992 წლიდან ქვეყანა ცხოვრობდა რაიმე დიდი პოლიტიკური მოვლენების მოლოდინით, რომელიც რუსეთს „შედარებითი სტაბილიზაციის" გზით წაიყვანდა. ეს ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პირველი ნაბიჯიც იქნებოდა იმავდროულად. ახლა, როცა ბორის ელცინის ჯანმრთელობა განგაშს აღარ იწვევს და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებიც დღის წესრიგიდან მოიხსნა, რუსეთს არავითარი ფართომასშტაბიანი პოლიტიკური ძვრები აღარ ელის. მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცევი – ქვეყანა სისხლისგან იცლება და სულ უფრო და უფრო საგრძნობლად სუსტდება. მთავრობა ვერ ახერხებს აიძულოს „ახალი რუსები" გადაიხადონ კუთვნილი გადასახადები, წარმოების ტემპებიც თითქმის ნულამდეა დასული.

ახალ, დემოკრატიულ რუსეთში ერთი ყოვლისმომცველი წესი დაკანონდა: ქვეყანაში ყველაფერი იყიდება, კენჭისყრის ბიულეტენებიდან დაწყებული, სამართლით დამთავრებული, ყოველივეს თავისი ფასი ადევს. ამას დაურთეთ საინფორმაციო საშუალებათა „პატიოსნება", კორუმპირებული სახელმწიფო მოხელეები და დაქირავებული მკვლელები.

აი, რა სურათი დახვდება დეკემბრის შუა რიცხვებში, კრემლში დაბრუნებულ პრეზიდენტს, რათა კიდევ ერთხელ შეახსენოს თანამემამულეთ, „თუ ვინ არის ხელისუფლების სათავეში". ელცინი იმუქრება, რომ „სულ მალე ბევრის თავი დაგორდება მიწაზე". ვაი მათ, ვინც „ცელქობდა" და ცუდად იქცეოდა მისი ავადმყოფობის დროს. ელცინს დიდი ძებნაც არ დაჭირდება. რუსეთის პრესა ბევრს ლაპარაკობს უმაღლესი სახელმწიფო მოხელეების უმოქმედობასა თუ უსინდისობაზე. არის კიდევ ერთი, გაცილებით უფრო ძვირი ცოდვა: ამ მოხელეთაგან გარკვეულმა ნაწილმა აშკარად გამოთქვა სურვილი, შეცვლებოდა პრეზიდენტს მის ტახტს.

პირველი რიგის დანაშაულთა შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც „ბერეზოვსკის" საქმეა. ფინანსებისა და მას-მედიის მაგნატმა, ბორის ბერეზოვსკიმ, „Financiel Times"-ისთვის 1 ნოემბერს მოცემულ ინტერვიუში დაუფარავად განაცხადა, რომ იგი მართავს დღეს სახელმწიფოს. იგი ამტკიცებს, რომ მეთაურობს 7 ბანკირისგან შემდგარ ჯგუფს, „რომელიც რუსეთის ეკონომიკის 50% აკონტროლებს" და ყოველივე ამას ანატოლი ჩუბაისის მიერ ჩატარებული პრივატიზაციის წყალობად მიიჩნევს. სხვათაშორის, ბერეზოვსკი არ მალავს, რომ ჩუბაისი პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელად სწორედ მან „განაწესა". ამ 7 ბანკირმა გადაწყვიტა დაეფინანსებინათ ელცინის წინასაარჩევნო კამპანია, იმ პირობით, რომ ერთი მათგანი, კერძოდ, ვლადიმირ პოტანინი, მთავრობაში ამოყოფდა თავს.

აი ამ, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო და პირდაპირი განცხადებით, ბერეზოვსკი ცდილობს ახსნას, თუ რატომ დანიშნა იგი ელცინმა უშიშროების საბჭოს მდივნის პირველ მოადგილედ. (ამ დანიშვნამ, თავის დროზე, დიდი სკანდალი გამოიწვია). ბატონ ბერეზოვსკის მტაცებლის სახელი აქვს გავარდნილი. ეს ის კაცია, ვინც საკუთარი სიმდიდრე სახელმწიფო საწარმოების ხარჯზე ააშენა. თუმცა, რაღა ბერეზოვსკი, ეს ყველა რუსი საქმოსანს ჩვეული გზაა. ბერეზოვსკის „მარშრუტს" ბევრი გადახრები ახლავს თან: 1994 წელს თავდასხმა მოუწყვეს, შემდეგ კი მისი თანამოსაქმის ვლად ლისტიევის მკვლელობაში დასდეს ბრალი.

ერთი რამ თუ დაიცავს ბერეზოვსკის პრეზიდენტის მომავალი რისხვისგან: – ეს არის მისი უსაზღვრო ძალაუფლება, რომელიც მან ერთობ საეჭვო ხერხებით და საშუალებებით მოიპოვა. ბერეზოვსკი, „ეროვნული უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელი პირი", ამ უსაფრთხოებას „ახალგაზრდა რუსული კაპიტალის" ინტერესებთან აიგივებს, თუმცა კი კრინტს არ ძრავს იმის თაობაზე, რომ მისი საკუთარი ინტერესებიც „გადის საქმეში".

არის მეორე მოვლენაც, რომელზედაც „თავის ატკივება" მოუხდება ელცინს. საქმე ეხება ჩუბაისის საუბრების ჩანაწერებს. თუკი დამტკიცდა, რომ მაგნიტოფონზე ჩაწერილი სატელეფონო საუბრები ფალსიფიცირებული არ არის, აშკარა ხდება, რომ პრეზიდენტის ბანაკმა პროკურატურასა და საინფორმაციო საშუალებებზე „ზეწოლით" მოახერხა დაემალა უკანონო მოხმარება საარჩევნო კამპანიისთვის გამოყოფილი უზარმაზარი თანხებისა და ამაში ლომის წილი თვით პრეზიდენტს უდევს. ამან კი შეიძლება, თეორიულად მაინც, ერთობ საეჭვო გახადოს ელცინის პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევის სამართლიანობა.

თავის მხრივ, ჩუბაისი აცხადებს, რომ ფლობს საბუთებს, რომლებიც აშკარავებენ გენერალ კორჟაკოვის მაქინაციებს. კორჟაკოვს ბრალი ედება „ყველა ამ უმსგავსობასა და სისხლისღვრაში". უბრალო რუსეთის თვალში ყოველივე ეს ახასიათებს ელცინის გუნდის ნებისმიერ წევრს, ასე რომ, არაფერი გასაოცარი ამაში არ არის. სულერთია, ვის ეხება საქმე, ჩუბაისის კლანს თავისი ბერეზოვსკით და პრეზიდენტის ქალიშვილით თუ კორჟაკოვის დაჯგუფებას თავისი დამსმენების რაზმით, რომელიც ცნობებს აწვდიან პრეზიდენტს მისი უახლოესი თანამშრომლების საქმიანობის თაობაზე. ამ ორ კლანს შორის ბრძოლა „კომპრომატების" გამოყენებით მიმდინარეობს. ეს დოკუმენტი ჯერ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდება და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცემა პროკურატურას, რომელსაც უჭირს მათი სიზუსტის შეფასება და დადგენა. არც ერთ ასეთ გახმაურებულ საქმეს რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

დათმობს კი ბორის ელცინი ანატოლი ჩუბაისს? ჯერჯერობით ჩუბაისს, რომელსაც ზოგ-ზოგნი „რეგენტს" უწოდებენ, აშკარა შეცდომა არ ჩაუდენია. მან კარგად უწყის, რომ პრივატიზაციის შედეგად მისი რეიტინგი ძალზე დაბალია, მაგრამ იმდენად ფრთხილი მაინც არის, რომ პრეზიდენტობაზე პრეტენზიას არ აცხადებს. საპირისპირო მაგალითად შეიძლება, ლებედის თავგადასავალი გავიხსენოთ, რომელიც მყისვე მოაშორეს კრემლს, რაწამს ეჭვები ელცინის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით კეთილი იმედები ჩაესახათ.

პრეზიდენტობის მეორე კანდიდატი, მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი ხელშეუხებელი პიროვნებაა. ამის გარანტიას მას ამომრჩეველთა 90 პროცენტი აძლევს. „პრეზიდენტობის" გაგონებაზე, ლუჟკოვი ხელებს ასავსავებს, მაგრამ ჩუმ-ჩუმად მაინც აგრძელებს საარჩევნო კამპანიას. პრეზიდენტ ჩერნომირდინსაც უნდა გაუწიოს ანგარიში: იგი ხომ ძლევამოსილი „გაზპრომის" თავკაცია?! ამასთან ერთად, ჩუბაისის მოწინააღმდეგე და „სასწორის გამაწონასწორებლის" როლს თამაშობს.

ასე რომ, არავინ იცის, ბოლოს და ბოლოს, ვისი თავი დაგორდება. ეტყობა, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, დარტყმებს და კოპებს უბრალო და ხშირად „უცოდველი მესირე" მიიღებს. პატარა თევზი ბადეში გაებმება, დიდი კი ძველებურად იბივრებს ზვირთებში. პრეზიდენტის გარშემო კი ისევ ხელჩართული ბრძოლაა, იბრძვიან დოლარებისა და პრეზიდენტის კეთილგანწყობის მოპოვებისათვის.

ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინონ მოსკოვის კრედიტორებმა და კრემლს ნათელი და ყოვლისმომცველი ანგარიში უნდა მოსთხოვონ.

სოფი შიაზი

(„მონდი", 25 ნოემბერი, 1996 წელი)

თარგმნა

გიორგი ეპიზაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

# მოდით ერთად ვიცინოთ

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლთმის დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა





* * *

**პატიმარი** ჩივის ციხის უფროსთან:

- საზიზღრად გვაჭმევენ! წარმოიდგინეთ, კატლეტში ტყვიები აღმოვაჩინე, სუპში კი - პისტოლეტი.

* * *

- **ბრალდებულო**, მოგვიყევით, როგორ აპირებდით ბანკის გაძარცვას?
- არ შემიძლია, დარბაზი სავსეა კონკურენტებით!

* * *

**ცოლი**:

- ბავშვები უკვე მეკითხებიან...

ქმარი:

- რას, სად არის მამიკო?
- არა, სად ინახავს მამიკო ნაძარცვს!

* * *

- **თუ** გნებავთ, სასამართლო გამოგიყოფთ დამცველს.
- სჯობს გამომიყოთ ორი საზრიანი მოწმე.

* * *

- **რისთვის** ზიხარ?
- თავში ვხიე ნაჯახი...
- მერე რა?
- ჩაძაღლდა, ნაჯახი მოწამლული აღმოჩნდა.

* * *

**საკანში**:

- ჩვენთან როგორ მოხვდი?
- სურდოს წყალობით.
- ??
- დავაცემინე და დარაჯმა გაიღვიძა.

* * *

- **შენ** რა მუხლით ზიხარ?
- პოლიტიკური. გამომიძახეს უმაღლეს საბჭოში. მე ყველა სანტექნიკური კვანძი შევამოწმე და ვთქვი, რომ ყველაფერი ჩამპალია და მოითხოვს სასწრაფო შეცვლას.

* * *

- **გამოდი**, ცოლი მოვიდა შენ სანახავად.
- როგორ, ისეც შედის განაჩენში?

* * *

**საკანში** ორი ტუსაღი ჩხუბობს:

- ოჰ, შე ვირო!
- ვირისაგან მესმის!

მესამემ უსმინა და უთხრა:

- რა გაჩხუბებთ, ნათესავები ყოფილხართ.

* * *

- **მოწმევ**, თქვენ ცოლიანი ხართ?
- არა, ბატონო, უბრალოდ ასე გამოვიყურები.

* * *

- **ყოველთვის**, როდესაც ვხედავ რაღაც სასაცილოს, თავს ვერ ვიკავებ სიცილისაგან.
- მაშინაც, როცა იპარსავ?

* * *

**საფლავის** ქვასთან ვიღაც ქვითინებდა და განუწყვეტლივ ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებდა.

- შენ არ უნდა მომკვდარიყავი, შენ არ უნდა მომკვდარიყავი.
- ვინ განისვენებს აქ, მამაა თქვენი თუ ვაჟიშვილი? - ჰკითხა გამვლელმა დამწუხრებულ პიროვნებას.
- არა, გეთაყვა, აქ ჩემი ცოლის პირველი ქმარია დასაფლავებული.



* * *

**ციმბირიდან** გარბის ტუსაღი. უძლეველ ტაიგის ტრამალებს რომ ვერ გააღწია, დაიჩანცა და სიჩქგამოცლილმა მორთო ყვირილი:

- მიშველეთ! ადამიანები არა ხართ, მიშველეთ!

ჩუქჩამ გაიგონა და თქვა:

- როცა მოსკოვ-ლენინგრადში ცხოვრობთ, მაშინ ანეკდოტი-ჩუქჩა ვარ, და როცა გიჭირთ - ადამიანი?

და გზა გააგრძელა.

* * *

- **მაპატიეთ**, შეიძლება ვინახულო პატიმარი გრიშა?
- ის გუშინ განთავისუფლდა, ერთ-ორ თვეში შემოგვიარეთ.

* * *

**პირველი** ქურდი:

- მე ძალიან მინდა, რომ მქონდეს მილიონი!

მეორე ქურდი:

- მომცემდი ნახევარს?

პირველი:

- რატომ, ბრიყვო? შენც ხომ შეგიძლია ისურვო შენი მილიონი?

* * *

**საკანში** მორიგი ჩხრეკის წინ ორი პატიმარი ბჭობს - გაანადგურონ დარჩენილი ნარკოტიკი თუ მიიღონ.

ერთი ამბობს:

- მოდი, მე ზურგსუკან მუშტში დავმალავ, თუ გამოიცნობ, მივიღოთ, თუ არა - გავანადგუროთ. აბა, ჰე!
- მარჯვენაში, - ეუბნება მეორე.
- ბრიყვო! ნუ ჩქარობ! კარგად დაფიქრდი...

* * *

**აბრამი** და მოშე ჩასვეს „კაპეზეში". აბრამი ზის იატაკზე და ტირის. მოშეს კი საჯდომზე დაუდვია ხელები და ბოლთასა სცემს. აბრამამ უყურა, უყურა და უთხრა:

- მოშეია, რომ დადიხარ, გგონია არ ზიხარ?

* * *

- **რაზე** ზიხარ?
- მესაფლავედ ვმუშაობდი. ერთ-ერთ ცხედარს ოქროს ბეჭედი ეკეთა.როდესაც წაცლა დავაპირე, მწვდა ხელში და შემომძახა:
- იდიოტო, ეს საკონტროლო დასაფლავებაა!



* * *

**მორგში** ათვალიერებენ მოკლული რეციდივისტის გვამს, რომლის ზურგიც დაცხრილულია ავტომატით.

- რა საშინელი თვითმკვლელობაა, - ამბობს გამომძიებელი.

* * *

**პოლიციაში** ინსპექტორი ეკითხება ქალს:

- რამდენი წლისა ბრძანდებით?
- უკვე ოცდაათი გაზაფხული განვვლე.
- რომელ წელს იყო ეს? - სთხოვს დაზუსტებას ინსპექტორი.

* * *

**ორი** პატიმარი საუბრობს:

- შენ ლეკური შეგიძლია?
- აბა!
- შალახო?
- იტყვი, რაღა?!
- ჰალი-გალი?
- არა, ორივეს ერთად ვერ შევძლებ.

* * *

**მოსამართლე**:

- შეგიძლიათ დაგვიმტკიცოთ თქვენი უდანაშაულობა?
- რასაკვირველია! მხოლოდ მომეცით ფიქრის საშუალება.
- გაძლევთ ხუთ წელს, გეყოფათ?

* * *

- **შენთან** ცოლი მოვიდა, - ეუბნებიან პატიმარს.
- უთხარით, რომ არა ვარ.

* * *

**ციხის** დათვალიერებისას ინსპექტორი ეკითხება პატიმარს:

- აქ რატომ იმყოფები?
- რა ვქნა, არ მიშვებენ...

* * *

**გადაჭედილ** საკანში მიიყვანეს პატიმარი.

- მე დიდხანს არ შეგაწუხებთ, სულ რაღაც ორ კვირას.
- მხოლოდ ორ კვირას? განა ასეთი რა ჩაიდინე?
- სიდედრი დავბრიდე, იქვე დავწვი მისი გვამის წიწილიც.
- და ყველაფერ ამაში ორი კვირა?
- ორი კვირის მერე დამხვრეტენ!

* * *

**პაემანი** ციხეში:

- ჩემო სიცოცხლევ, მე რომ ნამცხვარში ქლიბი ჩაგიდე, ხომ არაფერი შეგემთხვა?
- არაფერი, ჩემო სიყვარულო, უბრალოდ ხვალ ოპერაციას მიკეთებენ.

* * *

**პროკურორი** ეკითხება ბრალდებულს:

- აგვიხსენით, ვიდრე ყუთს გასტეხდით, რატომ დაახრჩეთ მეორე ოთახში მძინარე ყრუ მოხუცი?
- იმიტომ, რომ ყუთზე ეწერა: „გახსენით მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ"!

* * *

- **ბრალდებულო**, თქვენი ხრიკები ამაოა! მკვლელობის ადგილას თქვენ ხუთმა კაცმა განახათ!
- შეიძლება ხუთმა კი მნახა, მაგრამ შემიძლია დაგისახელოთ ასი, რომელთაც არ ვუნახივარ.

* * *

**ჩხრეკვისას** ბინაში აღმოჩნდა არყის სახდელი აპარატი.

- კარგით, აღვძრავთ საქმეს და გაგასამართლებთ, როგორც ალკოჰოლის უკანონო მწარმოებელს!

კი მაგრამ, მე რომ არ გამომიხდია!

- მერე რა, აპარატი ხომ გაქვს?
- მაშინ გაუპატიურებაზეც გამასამართლეთ!
- შენ რა, ვინმე გააუპატიურე?!
- არა, მაგრამ „აპარატი" ხომ მაქვს!

* * *

- **ბრალდებულო**, თვლით თუ არა თავს დამნაშავედ?
- არა.
- აბა ალიბი რომ არ გაქვთ?
- ეგ რაღაა?
- ესე იგი, განახათ თუ არა ვინმემ ქურდობის დროს?
- ღმერთის მადლით არავის ვუნახივარ!

* * *

**ადვოკატი** გაბრაზებით მიმართავს მოსამართლეს:

- პირველად თქვენ ეს კაცი გაასამართლეთ, როცა მან დღე ჩაიდინა დანაშაული. ახლა ასამართლებთ, რომ ღამე შევიდა დაზარალებულის სახლში. გეკითხებით, მაშ როდისღა იქურდოს კაცმა და რატომ მტოვებთ უმუშევრად?!

* * *

- **გთხოვთ** შეუმსუბუქოდ ცხოვრება ჩემს ქმარს, - სთხოვს ქალი ციხის უფროსს, - ის თქვენთან ძალიან იღლება, ცუდად სძინავს...
- საკვირველია! ჩვენთან პატიმრებს სძინავთ არანაკლებ, ვიდრე თავისუფლებაში.
- არ ვიცი, ვის დავუჯერო! ქმარმა მითხრა, რომ ღამღამობით ის და მისი მეგობრები თხრიან გვირაბს სტადიონისაკენ, რომელიც ციხის წინ არის.

* * *

**ქურდმა** საყვარელს არაჩვეულებრივი სილამაზის ბეჭედი აჩუქა. ქალმა გაიკეთა თითზე და აღტაცებით წამოიძახა:

- ოჰ, რა მშვენიერებაა! ეს ალბათ ერთი ხუთი წელი მაინც ღირს!

* * *

**ქმარი** და ცოლი დაბრუნდნენ სხვადასხვა კურორტებიდან. ღამეა. ცოლი ლოგინიდან ხტება და ნამძინარევი ყვირის: „ვაიმე, ქმარი მოვიდა!" ქმარი თავზარდაცემული ყვირის: „სადაა ის?" და საწოლქვეშ იმალება.





* * *

**მთელი** საღამო ეკრანზე მხოლოდ კოცონს უჩვენებენ! - შესჩივლა ქმარმა ოთახში შემოსულ მეუღლეს.

- ნაკლები უნდა დაგელია! - მიუგო მან, - ჩვენი ტელევიზორი დღეს დილას წაიღეს გასარემონტებლად, შენ ბუხარში იცქირები.

* * *

**ცოლი**: რად გინდა, რომ სამგზავროდ მაგდენი ბარგი-ბარხანა მიგაქვს? თან მხოლოდ ის უნდა წაიღო, რაც გზაში არ იშოვება.

ქმარი: თუ აგრეა, მაშინ შენ რაღად მომდევ?

* * *

- **საით** ასე ადრე?
- სახლში, მოახლე გაგვექცა და ცოლი მარტო დარჩა შინ...
- მეც სახლში, ცოლი წავიდა და მოახლე მარტოა.

* * *

- **ძალიან** მაწუხებს ის ამბავი, რომ ჩემი ცოლი ძილში ლაპარაკობს, - შესჩივლა ქმარმა ფსიქიატრს.
- მაინც რას ლაპარაკობს?
- იმეორებს: „არა, კარლ, არა!"
- საშიში არაფერია.
- როგორ თუ არა: მე ხომ ფილიპი მქვია.
- მაგრამ თქვენი ცოლი ხომ გარკვევით ამბობს: „არა!"

* * *

- **თქვენს** უფროსს თუ მოახსენეთ, რომ უნდა მოვსულიყავით? - ჰკითხა სარევიზიო ჯგუფის უფროსმა დირექტორის ტექნიკურ მდივანს.
- დიახ! მითხრა, ნახევარ საათში დავბრუნდებიო.
- სად წავიდა?
- ოჯახს გამოვეთხოვები და მოვალო!..

* * *

**მაღალი** წრის ქალბატონმა გადაწყვიტა მწერლობა დაეწყო. რჩევისათვის მან მიმართა ბერნარდ შოუს და ჰკითხა:

- მითხარით, გეთაყვა, როგორ სჯობს ვწერო?
- მარცხნიდან მარჯვნივ! - უპასუხა მწერალმა.

* * *

- **გიყვარვარ?** - ალერსით კითხულობს ქალიშვილი.
- რა თქმა უნდა, - ნაზად მიუგებს ვაჟი.
- ცოლად შემირთავ?
- რა წესი და ჩვეულება გაქვს, ყოველთვის ცვლი საუბრის თემას.

* * *

**ერთი** სასტუმროს მეპატრონე ცნობილი იყო მეტისმეტად ცუდი ღვინოებით. ერთხელ მან სოფლის ექიმს უთხრა, წუხელ ღამით სარდაფიდან რვა ბოთლი ღვინო მომპარესო.

- არაფერია, - დაამშვიდა ექიმმა, - ქურდებს სულ ადვილად დავიჭერთ. თუ მათ შენი ღვინო დალიეს, ხვალ უეჭველად ჩემი პაციენტები იქნებიან!

* * *

**მოსამსახურე** ეუბნება ფირმის პატრონს:

- ჩემს ცოლს სურს გამეყაროს, თუ თქვენ არ დამაწინაურებთ. გეხვეწებით, გემუდარებით, დაწინაურებაზე უარი მითხარით.

* * *

- **მე სწორედ** იმ დღეს დავიბადე, - ამაყად განაცხადა დრამატურგთა საზოგადოებაში უნიჭო კომედიოგრაფმა, - როცა დიდი ჰენრიკ იბსენი გარდაიცვალა.
- რას იზამ, - შენიშნა ერთმა სატირიკოსმა, - ორივე მოვლენა ნამდვილად სამწუხაროა.

### აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადება

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ლტოლვილთა დაბრუნება აფხაზეთში უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც გაფორმებულია 1994 წლის აპრილ-მაისში საქართველოსა და აფხაზეთს შორის და რომელიც აფხაზეთში მხოლოდ იმ ლტოლვილთა დაბრუნებას ითვალისწინებს, რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში ქართული მხარის სასარგებლოდ.

იბერია

### აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარის სოკრატ ჯინჯოლიას განცხადება

აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარემ სოკრატ ჯინჯოლიამ ამერიკული ტელეკომპანია „ABC “-სათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ლტოლვილთა პრობლემას ქართული მხარე სპეკულაციურად იყენებს თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის, სინამდვილეში, კი საქართველოს ხელისუფლებაში არიან გავლენიანი ჯგუფები, რომელთაც რეალურად არ სურთ ლტოლვილთა დაბრუნება აფხაზეთში, ვინაიდან მათ აწყობთ დაუსრულებლად გაგრძელდეს ლტოლვილთათვის ჰუმანიტარული დახმარებების გამოყოფა, რომელსაც აშშ-ც უგზავნის საქართველოს და რომელთა დიდი ნაწილი ვერც კი აღწევს ლტოლვილებამდე, არამედ მას მაფიოზური დაჯგუფებები იტაცებენ.

იბერია

### ე.წ. მთიანი ყარაბახის რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება

ე.წ. მთიანი ყარაბახის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა განაცხადა, რომ მთიანი ყარაბახის რესპუბლიკის მოსახლეობისა და ხელისუფლების მზარდ შეშფოთებას იწვევს საერთაშორისო სანავთობო კონსორციუმის მოქმედება აზერბაიჯანში, რომელსაც განსაზღვრული აქვს ნავთობსადენით კასპიის ნავთობის გადაზიდვა აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიების გავლით, რაც რობერტ კოჩარიანის განცხადებით, საგრძნობლად გაზრდის აზერბაიჯანის ეკონომიკურ და, შესაბამისად, სამხედრო პოტენციალსაც. ეს კი ეწინააღმდეგება მთიანი ყარაბახის სტრატეგიულ ინტერესებს. მისივე თქმით, მთიანი ყარაბახის ხელმძღვანელობამ წარმომადგენლები გაგზავნა აფხაზეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის რესპუბლიკებში მათი სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოცდილების შესწავლის მიზნით.

იბერია

### ოთხმხრივი შეხვედრა გადაიდო

საააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, გუშინ გალის რაიონის სოფ. ჭუბურხინჯში დაგეგმილი ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა აფხაზური მხარის ინიციატივით გადაიდო. მიზეზი გახდა დაძაბული კრიმინოგენული ვითარება გალის რაიონში.

იფრინდა


ექსპრეს აუდიტ სერვისი
EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

# ექსპრეს-აუდიტ სერვისი

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში.

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის (ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგება და სხვა) აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობბა და რეკომენდაციები გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.
3. მატერიალური ფასეულებათა აუდიტორული შეფასება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89


# კაიფვორდი



**შვეულად:** 1. „ადგილი, სადაც ძალიან ცოტა ხე იცის და გარკვეული დროის შემდეგ, ყველას იქ უნდა წასვლა“; 3. „ლია, წადი“ (რუს. კავშ.); 4. „წილში შესვლა ბარში“; 5. „მთის წვერზე ნანახი ხურდა ფული“; 7. „ქვემოთ მიმავალი სია“; 8. „რადიაციული გენი“; 10. „ლუპით“ საძებარი ქვეყანა; 12. „ყველაზე გრძელი საბუთი“; 13. „ცეცხლში გახვეული“ მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. საქმეში „ტორით“ ფულის ჩადება; 17. შტატი ამერიკაში, სადაც „ლუწებს“ არაფერი ესაქმებათ; 18. ნამთვრალებზე – „ცხოველი, აუცილებელი ატრიბუტი“; 20. „სოფლის ტიპის დასახლება“ სადაც „ჯანიანებს“ ძალით აგზავნიან; 21. ყავის სახეობა მიღებული „შრომითი ურთიერთდახმარების საფუძველზე“; 23. „სონის“ ამერიკელი წინამორბედი გამომგონებელი; 26. რუსეთში „ჯანღონით სავსე“ ებრაელების ქალაქი; 29. „ადას თაობის ხალხი“; 31. ის, რაც აკლია საქართველოს მოსახლეობას; 32. „ორიენტაციისათვის საჭირო საათი“.

**ჰორიზონტალურად:** 2. „პატივმოყვარეობის შელახვა“; 5. „გერმანიის კანცლერის სახელობის შენობა იტალიაში“; 6. „დიდ ქვასთან მოცდა“; 9. იმპერიაში პირველი ოპერატორი; 11. „შიდსის მზომი მოწყობილობა“; 15. „საწინააღმდეგო ბანდა“; 16. სიმძიმის ასაწევად საჭირო „კეტი“; 19. „ინდოეთის დედაქალაქში გახსნილი ბარი“; 22. „ტეკას“ მექსიკური ვარიანტი; 24. „სუნის შესანახი“; 25. „ობმოკიდებული საცივი“; 27. „ლომების შეჯიბრი სათხილამურო სპორტში“; 28. ქართველი ვაჟკაცი, რომელმაც „დონს გადაუფრინა“; 30. „ცოტა აკლია“, თორემ ამ ლუდით იატაკს გააპრიალებდით; 33. „შავტუხა ქართველი ბიჭი, რომელიც გატაცებულია ასაწყობი კონსტრუქციებით“; 34. „ბალახი“ რომელიც „ძალიან უყვართ კატებს“; 35. „ეროვნება, რომელთაც მოჩვენებები სჭირთ“; 36. იტალიელი მხატვარი, რომელსაც „ჯორი უნდა დაეხატა თანაც ორი“; 37. „მონების“ მიერ გამოწვეული „არეულობა, ქაოსი“.

გია კაჭახიძე


ძვირფასო მასწავლებლებო, XI კლასის მოსწავლეებო, აბიტურიენტებო!

თვალი ადევნეთ გაზეთ „საქართველოს“, დაიწყება ნოდარ გრიგალაშვილის „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლების“ პუბლიკაცია.

ძველი და ახალი საპროგრამო ნაწარმოებები, წაკითხული ახალი თვალით...

შეიძინეთ და შეინახეთ გაზეთი „საქართველო“.


# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ძველი ქართული პოეზიის ჟანრი; 3. ტერმინი, რომელიც საგარეო ვაჭრობაში აღნიშნავს საქონლის დატვირთვას და გაგზავნას გამყიდველის ხარჯით; 6. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია გამოსახულება ან წარწერა; 8. ფეოდალური დაჯგუფების სახეობა (პარტია) ძველ საქართველოში; 9. ქაღალდის ფულის გამოშვება; 12. კაზაკთა ატამანი, რომლის ლაშქრობებით დაიწყო ციმბირის შეერთება რუსეთთან და მისი ათვისება; 15. თევზის სახეობა; 17. ორელექტროდიანი ელექტრონმილაკი; 18. ევრაზიის უდიდესი მდინარე; 19. საფრანგეთის მარშალი; 20. შტატი ამერიკაში; 21. ქიმიური ელემენტი; 23. ზოგი დაწესებულების, განყოფილების სახელწოდება; 24. ნორვეგიული ეროვნული თეატრის ფუძემდებელი; 27. ქართველი მათემატიკოსი; 29. აგრარული ღვთაება სვანეთში; 31. მსახიობების და დეკორაციების განლაგება სცენაზე წარმოდგენის ამა თუ იმ მომენტში; 32. ატმოსფერული განმუხტვა; 33. ქალაქი ესპანეთში; 34. აზიის სამი ქვეყნის მდინარე.

**შვეულად:** 1. ნოეს ერთ-ერთი ვაჟი ბიბლიური ტრადიციით; 2. ქართლის უზენაესი წარმართული ღვთაება; 4. მამაკაცის სახელი; 5. შხამიანი გველი; 6. რუსი კომპოზიტორი, პედაგოგი, დირიჟორი; 7. ვერდის ოპერა; 10. იტალიელი ფერმწერი, მოქანდაკე; 11. ქალ-ვაჟის ერთად დაწვენის ჩვეულება ძველ ხევსურეთში; 13. საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის მოხელე ფეოდალურ საქართველოში; 14. წიწვოვანი ხე; 15. ქართლის დედოფალი – XVII საუკ. ქართული კულტურის მოღვაწე და მეცენატი; 16. კანის სნეულება; 22. ადგილობრივი სისხლნაკლებობა; 23. სანოტო ნიშანი; 25. სპორტული ცურვის სახე; 26. ერი ანუ... 28. ეგრისის მეფეთა სახელი; 30. წესი, განწესება ძველ საქართველოში.

გ.გასიტაშვილი

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 3. მედინა; 5. ფიქცია; 7. ჯოელი; 8. დალაი; 9. ორდერი; 10. ივენსი; 13. ბარქაია; 18. ელია; 19. „დათო“; 20. სტაგნაცია; 21. გრეი; 22. ქუბი; 24. ოწინარი; 28. ენდემი; 30. დარანი; 31. ნეტავ; 32. ხიხვი; 33. ამპირი; 34. ილუზია.

**შვეულად:** 1. გრიფონი; 2. ერქვანი; 3. მეთოდე; 4. აკლება; 5. ფრანსი; 6. ანტენა. 9. ოროგენე; 11. იმანუსი; 12. დერგი; 13, ბუტკო; 14. რაგბი; 15. ავარა; 16. აზიზი; 17. ფოლიო; 23. იდილია; 25. წრიაპი; 26. რემიზი; 27. სატირა; 29. იმერინა; 30. „დავლური“.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444